საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 56 (329) ● ოთხშაბათი, 8 აპრილი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

სრული ურთიერთგაგების ვითარებაში

7 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ბატონი ვოლქან ვურალი და ესაუბრა.

ელჩმა გადასცა ედუარდ შევარდნაძეს თურქეთის პრეზიდენტის თურღუთ ოზალისა და თავისი ქვეყნის სხვა ხელმძღვანელების სალამი, გამოთქვა მათი კმაყოფილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მისი არჩევის გამო.

— თბილისში ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანია, — თქვა მან, — დავაზუსტო, რომ შეიძლება მხარში ამოგიდგეთ და დაგეხმაროთ თურქეთი. უკვე უახლოეს ხანში ჩვენ შეგვიძლია მოვაწოდოთ საქართველოს სურსათისა და მედიკამენტების დიდი პარტიები.

ბატონმა ვ. ვურალმა აგრეთვე აცნობა, რომ თურქეთმა გადაწყვიტა დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან. შესაბამისი დოკუმენტების ხელმოწერა გაიმართება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტის დროს, რომელიც მაისის შუა რიცხვებისათვის არის გათვალისწინებული. ამავე დღეებში ხელმოწერილი იქნება შეთანხმებათა დიდი პაკეტი, რომლებშიც იქნება ორი მეზობელი ქვეყნის სახელშეკრულებო — სამართლებრივი შეფასება, შეიქმნება თურქეთ-საქართველოს საქმიან ადამიანთა და მეწარმეთა საბჭო.

თურქეთის ელჩი თბილისში

— ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მონაწილეობას მიიღებთ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების ცერემონიაში, რომელიც უმაღლეს დონეზე გაიმართება სტამბოლში მიმდინარე წლის 25 ივნისს, — აცნობა ბატონმა ვ. ვურალმა.

— საქართველო დაინტერესებულია თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებით, — თქვა პასუხად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ჩვენი ქვეყნისა და მისი მეზობლებისათვის დღეს თავიანთი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. სახელმწიფო მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა მთავარი ამოცანაა ამოვძირკვოთ სარეველები, წარსულისაგან რომ გვერგო მემკვიდრეობად, და მოვამზადოთ თანამშრომლობის ველი ახალი ჯანსაღი ნათესებისათვის.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ მოკითხვა შეუთვალა თურქეთის ხელმძღვანელებს და მადლობა გადაუხადა მათ შემოთავაზებული დახმარებისათვის, მან, ელჩის თხოვნით, დაახასიათა საქართველოში შექმნილი სიტუაცია, ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება მისი სტაბილიზაციისათვის.

ე. შევარდნაძემ უპასუხა კითხვას, თუ რა აზრისაა მთიანი ყარაბაღის გამო კონფლიქტზე, და თქვა, რომ ამიერკავკასია, მისი ქვეყნების ცხოვრების განსხვავების მიუხედავად, ერთიანი ორგანიზმია და ამიტომ კონფლიქტის გადაწყვეტას საარსებო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც.

შეხვედრაში, რომელმაც სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ჰააგიდან მიიღო ნიდერლანდის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვან დენ ბრუკის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

თქვენო უზრწყინვალესობავ!

მისმა აღმატებულებამ ნიდერლანდის დედოფალმა დამავალა, გაცნობოთ თქვენ, რომ ნიდერლანდის მთავრობა ცნობს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

ასევე დავალებული მაქვს გადმოგცეთ ნიდერლანდის სახელმწიფოს სურვილი დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა თქვენს ქვეყანასთან საელჩოების დონეზე.

ნიდერლანდის მთავრობისგან პატივი მაქვს გადმოვცე თქვენს უზრწყინვალესობას საუკეთესო სურვილები საქართველოს მომავალი წინსვლის გზაზე.

გთხოვთ ასევე მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი.

ვან დენ ბრუკი,
ნიდერლანდის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.
ჰააგა, 25 მარტი, 1992.

„ჩემი მიზანია ის, რომ ამერიკამ დაუჭიროს მხარი თქვენს ქვეყანაში დემოკრატიას და განმტკიცდეს შემდგომი საერთაშორისო ძალისხმევა და კოორდინაცია"

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

ძვირფასო თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძევ! დღეს საჯაროდ გამოვაქვეყნებ ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების მხარდამჭერ მთელ რიგ ახალ ინიციატივებს. მსურს წინასწარ შეგატყობინოთ ჩემი განცხადების ამბავი.

იმისათვის, რომ ამ საქმეში ჩავაბა აღმასრულებელი ხელისუფლება, კონგრესი და ამერიკელი ხალხი და სტიმული მივცე მრავალმხრივ ძალისხმევას, ვაცხადებ, რომ ვიღებ რუსეთისა და ევრაზიის სხვა ხალხებისთვის დახმარების ყოვლისმომცველ პაკეტს.

ჯერ ერთი, ვაცხადებ, რომ მხარს ვუჭერ ყოვლისმომცველ მრავალმხრივ მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციის პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და „შვიდეულის" მეშვეობით. მასში გათვალისწინებული იქნება ექვსი მილიარდი დოლარის გამოყოფა ვალუტის სტაბილიზაციის ფონდში და 18 მილიარდი დოლარისა — რუსეთისთვის დამატებითი მაკროეკონომიკური დახმარების გასაწევად. ვკისრულობთ ვალდებულებას გავუწიოთ მხარდაჭერა დამატებით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ძალისხმევას საქართველოში და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში იმის კვალობაზე, თუ როგორ იმუშავებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან იმ რეფორმათა ყოველმხრივი გეგმის ფორმულირებისთვის, რომლებიც იმსახურებენ ნდობას. აქ შეიძლება შეტანილი იქნეს სხვა საჭირო სტაბილიზაციის ფონდები ან მაკროეკონომიკური დახმარება.

მეორეც, კონგრესში ვგზავნი ყოვლისმომცველ ინტეგრირებულ წინადადებებს — 1992 წლის აქტს თავისუფლების მხარდაჭერის შესახებ. ეს კანონმდებლობა მიზნად ისახავს იმას, რომ მოიხსნას „ცივი ომის" პერიოდის შეზღუდვები და მივიღოთ ახალი უფლებამოსილებანი, შეერთებულმა შტატებმა შეძლოს რაც შეიძლება უკეთ შეუწყოს ხელი თქვენს ძალისხმევას აშენოთ დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი. იგი აგრეთვე შეიცავს თქვენს ქვეყანაში ვაჭრობასა და ინვესტიციებში ამერიკის კომპანიათა შესაძლებლობების გაფართოების მნიშვნელოვან დებულებებს.

მესამეც, ვაცხადებ, რომ დღეს დამატებით გამოიყოფა 1,1 მილიარდი დოლარის ოდენობის საკრედიტო გარანტიები სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესასყიდად სამომხმარებლო კრედიტების კორპორაციის ხაზით. 600 მილიონ საკრედიტო გარანტიას გადავცემთ რუსეთს, დანარჩენი 500 მილიონი გადაირიცხება უკრაინისა და სხვა სახელმწიფოებისათვის.

ჩვენს მიერ გადადგმულ სხვა ნაბიჯებთან ერთად ჩემი მიზანია ის, რომ ამერიკამ დაუჭიროს მხარი თქვენს ქვეყანაში დემოკრატიას და განმტკიცდეს შემდგომი საერთაშორისო ძალისხმევა და კოორდინაცია.

იმედი მაქვს, რომ მხარს დამიჭერთ ერთობლივ მოქმედებაში, რომლის მიზანია, უზრუნველვყოთ დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების აყვავება.

გულწრფელად თქვენი
ჯორჯ ბუში.

წერილი მოსკოვიდან

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ წერილი მიიღო მოსკოვის მთავრობის პრემიერის ი. ლუჟკოვისა და ქალაქ მოსკოვის მერის გ. პოპოვისგან, წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

ბატონო ედუარდ ამბროსის ძევ! გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკაში სურსათის ნაკლებობა, და ხელმძღვანელობს რა რუსეთისა და საქართველოს ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობით, რუსეთის მთავრობამ თებერვალსა და მარტში გამოგზავნა საქართველოს რესპუბლიკაში 135 ტონა შაქარი, 320 ტონა ფქვილი. აპრილსა და მაისში გამოვგზავნით კიდევ 1500 ტონა ფქვილს. დაიწყო თბილისში 5 ათასი ტონა კარტოფილის გამოგზავნა.

გარდა ამისა, გადაწყდა მოსკოვის რეზერვებიდან რესპუბლიკაში უმოკლეს ვადებში 5 ათასი ტონა ბენზინისა და 5 ათასი ტონა დიზელის სათბობის, დაახლოებით 80 სამგზავრო ავტობუსის, კომუნალური მეურნეობისათვის განკუთვნილი 20 ავტომანქანის, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მნიშვნელოვანი მოცულობის პროდუქციის გამოგზავნის საკითხები.

გულითად მადლობას მოგახსენებთ საქართველოდან თამბაქოს, სპირტიანი სასმელებისა და სხვა საქონლის შემხვედრი მოწოდებისთვის. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო განვითარდება მოსკოვისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობათა თანამშრომლობა.

---

9 აპრილი ჩვენი საერთო ტკივილია

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან

9 აპრილის ტრაგედია ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულ თარიღად დამკვიდრდა. ამ დღეს რეკავენ არა გლოვის, არამედ მამულიშვილთა უკვდავების მაუწყებელი ზარები. 9 აპრილის მსხვერპლთა ნათელი ხსოვნა მოგვიწოდებს ეს დღე ეროვნული შერიგებისა და თანადგომის დღედ ვაქციოთ.

საქართველოს მკვიდრნი 9 აპრილს 12 საათზე წუთიერი დუმილით, მოწიწებით მიაგებენ პატივს დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. ამ დროს წუთით შეწყდება უკლებლივ ყველა საწარმოსა და დაწესებულების, სასწავლებლისა და ტრანსპორტის მუშაობა.

სრული სიმძლავრით

რუსთავის ყველა ის საწარმო, რომლებიც მიმდინარე წლის დამდეგიდან ელექტროენერგიის უქონლობის გამო იძულებით იყვნენ მოცდენილი, კვლავ მთელი სიმძლავრით ამოქმედდა. მეტალურგიული ქარხნის მისასვლელი ლიანდაგებიდან აზერბაიჯანისა და ტიუმენის ნავთობის სარეწებზე, საავტომობილო, მანქანათმშენებელ ქარხნებში, ათობით სხვა მისამართით გაემართნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარკიანი მილებით, ლითონის ნაკეთობებით დატვირთული ეშელონები.

საწარმოო გაერთიანება „აზოტმა", მინერალური სასუქების გარდა, დაიწყო აგრეთვე კოსმეტიკური საშუალებების, მასობრივი მოთხოვნის სხვა საქონლის გამოშვება.

ამწეხაშენებელი ქარხნის კოლექტივი შეუდგა საბინაო-სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისთვის გათვალისწინებული გადიდებული სიმძლავრის კოშკურა ამწეების აწყობასა და მონტაჟს.

მიიღეს აგრეთვე ასობით ტონა ცემენტი, ბეტონი, დოლომიტი, თაბაშირი, რკინაბეტონის პანელები და სხვა პროდუქცია.

ქალაქში ჩავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. ისინი შეხვდნენ მუშებისა და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, საწარმოთა დირექტორებს, დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „აზოტი". საუბრების დროს განიხილეს ჩამორჩენის მიზეზები, დასახეს ქალაქის მრეწველობის კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

მეტალურგთა ძირითადი ამოცანაა საწარმო გახადონ მთლიანად ავტომატიზებული, სადაც აღმოფხვრილი უნდა იყოს ყველა შრომატევადი პროცესი, გაიზარდოს ფოლადის გამოშვება შიდა რეზერვების ხარჯზე, მიაღწიონ იმას, რომ მზა პროდუქცია — მილები — მიიღონ დამხმარე პროცესების გვერდის ავლით. მნიშვნელოვანი ამოცანა დგას ქიმიკოსთა წინაშეც: მათ შეუძლიათ აითვისონ ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქციის გამოშვება. გაცილებით უკეთ შეუძლიათ მუშაობა მეცემენტეებს, მანქანათმშენებლებს, სახლთმშენებლებს. მთავარი ის არის, რომ მათ შეუფერხებლად მიაწოდონ ელექტროენერგია, გაზი, ნედლეული და სხვა მასალები.

დავით ირემაშვილი.

ქ. თბილისის გარნიზონის კომენდანტის

ბრძანება

ქ. თბილისში დაწესებულ კომენდანტის საათთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ საგანგებო წესები გამოაცხადა და დაწესებულია კომენდანტის საათი, ქ. თბილისში ყოფილი ხელისუფლების მომხრეები მაინც უხეშად არღვევენ საგანგებო წესებს, რაც გამოიხატება ყოფილი პრეზიდენტის რამოდენიმე ასეული მხარდამჭერის ქუჩებში ჯგუფური მსვლელობებით და დემონსტრაციებით, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მიტინგების გამართვით, რაც ხელს უშლის ქ. თბილისში ვითარების უსწრაფეს ნორმალიზაციას და აკრძალულია შესაბამისი ბრძანებით.

ქ. თბილისში მასობრივი არეულობის თავიდან აცილების, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით

ვბრძანებ:

1. 1992 წლის 1 აპრილიდან 1992 წლის 1 მაისამდე დაწესდეს ქ. თბილისში შემოსვლა-გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი. ამის შესაბამისად, კომენდანტის საათის დროს დაკავებულ პირს, რომელსაც არ ექნება ქ. თბილისში ჩაწერის ან ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან არ ექნება მოწმობა თბილისში სამსახურებრივი მოვლინების შესახებ, ჩაითვლება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევად.

ყველა ასეთი პირი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, გაძევდება ქალაქიდან.

საქართველოს რესპუბლიკის რეგიონებიდან ქ. თბილისში მოვლინებულ პირებს გარდა აღნიშნული პუნქტის პირველი ნაწილის მოთხოვნებისა, სამივლინებო მოწმობაზე დამატებით უნდა ჰქონდეს ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს გამგეობის თავმჯდომარის სპეციალური ვიზა.

2. აიკრძალოს საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის გაუქმებამდე მიტინგების, ქუჩის მსვლელობისა და დემონსტრაციების, გაფიცვების, აგრეთვე სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობა.

3. შეიზღუდოს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა. საჭირო შემთხვევაში მოხდება მათი გასინჯვა.

4. აიკრძალოს მოქალაქეთა ისეთი შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.

5. შემოწმდეს დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო თუ სათანადო საფუძველი ექნებათ, მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

6. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს ეკრძალებათ ჩემს მიერ სპეციალურად გაცემული საშვებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ან გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლებს გარეთ, თუ არ ექნებათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ პუნქტის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს მილიცია ან პატრული დააკავებს კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო იმათ, ვისაც თან დოკუმენტი არ აღმოაჩნდება, — პიროვნების დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა. დაკავებულს შეიძლება პირადად გაესინჯოს ნივთები, რომლებიც თან აქვს.

აღნიშნული ბრძანების 1, 2 და 3 პუნქტების შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე მე-6 პუნქტის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დამრღვევ პირებს დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი 1500 მანეთამდე ჯარიმის სახით ან დაპატიმრებული იქნებიან ოცდაათ დღემდე ვადით, თუ ეს დარღვევები არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბრძანებაში აღნიშნულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელსაც განიხილავს სამი დღის ვადაში.

ბრძანება ძალაში შედის 1992 წლის 1 აპრილის 24 საათიდან და ძალაშია 1992 წლის 1 მაისის 24 საათამდე.

ბრძანების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს დაწესებული ვადის გასვლამდე ქ. თბილისში შესამჩნევი სტაბილიზაციის მიღწევისთანავე.

ქ. თბილისის გარნიზონის კომენდანტი, მილიციის პოლკოვნიკი
გია გულუა.

დავაგდოთ თოფი, ავიღოთ თოხი!

გუთნისდედის მოკვლა არ შეიძლება!

დავაგდოთ თოფი, ავიღოთ თოხი, საგაზაფხულო ხვნა-თესვის ჟამია. უთქვამთ: აპრილდელი ერთი დღე წელიწადს კვებავსო. როგორც ჩანს ეს უბრალო ჭეშმარიტება ყველას დაგვიწყებია. ყოველ შემთხვევაში, განვლილმა ორმა გაზაფხულმა უშრომლად ჩაგვიარა, მაშინ შემოდგომაც შესაფერისად უბარაქო დაგვიდგა და რატომღა გვიკვირს, რომ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა და გაგვიძვირდა?

ქართველი ხალხი ტრადიციულად მიწათმოქმედებით ცხოვრობდა. ჩვენი სახნავ-სათესი ვრცელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ უხვი და ბარაქიანი კი გვქონდა. ჩვენს მამა-პაპათ არც ხელგარჯილობა აკლდათ და ვრცელი ტრამალების პატრონებზე უკეთ ვცხოვრობდით. ჩვენს წინაპარს არასოდეს უშიმშილია, ახლა კი ყველაფრის მონატრული გავხდით, მწარე სინამდვილემ თვალებში შემოგვხედა. შიმშილობენ უპატრონო მოხუცები, შიმშილობენ პატარები— მათი საზრდოც კი საშოვარ-საძებნელი გახდა. ჩვენი გაპარტახების მიზეზებს რა ჩამოთვლის, მაგრამ ახლა მაინც უნდა ვაღიაროთ მთავარი შეცდომები: ბაღ-ბოსტანი, ვენახი და პლანტაცია, ცხვარ-ძროხა ხომ შეგვაძულეს, გვჭირდებოდა თუ არა, ყველანი პოლიტიკაში გავერიეთ. ერთმა ხანშიშესულმა მევენახემ მითხრა: „აფსუს გენა, რაც დროშები ვაფრიალეთ, იმდენი თოხი რომ გვქონოდა და რაც მიტინგებში დრო დავკარგეთ, იმდენ ხალხს ის დრო რომ გვემუშავა, რა დაგვაშავდაო?" რაც არ უნდა მეპასუხა, სიმართლე იმ გლეხის მხარეზე იქნებოდა. სად გაგონილა, რომ ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ყველა პოლიტიკოსობდეს და სარჩო-საბადებელზე არავინ ფიქრობდეს?

აბა გადავხედოთ ჩვენი გაზეთის შარშანდელ ნომრებს. მაშინ ყველაფერზე ვლაპარაკობდით, ათასნაირი შეშფოთება გამოსჭვიოდა, მაგრამ იმის შეფასებას არავინ დარდობდა, რომ ეს შიმშილობა ჩვენთვის უკვე გარდაუვალად ჩანდა. თვითონ ხელისუფლება არ ფიქრობდა ხვნა-თესვაზე და ხალხის ფიქრი და, აზროვნება სულ სხვა მხარეს იყოს მიმართული. ანდა, სადაც მიწათმოქმედებაზე ფიქრობენ, შეიძლება იმ ქვეყანაში წელიწადში სოფლის მეურნეობის სამ მინისტრს იცვლიდნენ?

ეს ფიქრი შარშან ამეკვიატა, როცა ქუჩაში ერთად შემხვდნენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ორი სპეციალისტი, ორი ორგანიზატორი, ვისაც ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა სურდა; იგი ამ ორ პიროვნებას გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ აუარა, ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მაინც დაინიშნა, მაგრამ მაშინ როცა წლის მოსავალი დაკარგული იყო და აღარც მომავალი წლის თესლზე ეფიქრა ვინმეს. ასეთი ნაბიჯი უფრო ხვალინდელი ხელის შეწმენდა იყო, ვიდრე ზრუნვა საქმის გაუმჯობესებისათვის.

იმას კი ვხედავდი, რომ გლეხს მიწა შევაძულეთ, მაგრამ თუ მიწის პრივატიზაციას ასე გულგრილად შეხვდებოდნენ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. ეს გულგრილობა მაშინებს. ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია წუთის დაკარგვაც კი აღარ შეიძლება. ეხლა გულმოდგინება და გარჯა თუ გვიხსნის, შორიდან ცქერა და ხეირის ყურება, აბა ერთი ვნახოთ რა მოხდებაო, ვერას გვიშველის, ჩვენს მტერს ამგვარი გულგატეხილობა! დღეს ყოველივე ამას ზედ ერთვის შინაშლილობა, ძმათა ომი. ვინა თქვა მეგრელთა დანარჩენ საქართველოსთან ომი? რომელი ხართ ისეთი ქართველი, სამეგრელოს წარმომადგენელი ძმად და ნათესავად რომ არ გვრგებოდით, რომელთანაც სიცოცხლე თუ საფლავი არ გვკავშირებდეთ?

მე ძალიან ცუდად მეწყინა ერთი ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარა ყოფილმა პრეზიდენტმა ზუგდიდში მიტინგი, მოითხოვა აფხაზეთისა და სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფა და თბილისის დალაშქვრა. გულმა მშობლიურ საგარეჯოსკენ გამიწია. ჩემი მეგობრები შეცბუნებულები იყვნენ. ზოგი იარაღის შოვნაზე ლაპარაკობდა, მე არ მეგულება კახეთში ისეთი ოჯახი, მოიწადინოს და ერთი ავტომატი ვერ იყიდოს, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს! კახელის როგორც ქართველის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ (სხვა ჩემი ძმები ნუ მიწყენენ) მტერსა და მოყვრის მშვენივრად არჩევენ. ჩემო ძმებო, ჩემო მეგრელებო, თქვენ იცით, ვისაც გეუბნებით! ნეტა, გენახათ ხანშიშესულმა ჩვენი მამა-ბიძების ტოლებმა როგორ დაუტატანეს ახალგაზრდებს: რამ დაგაბრმავათ, უპატრონო შვილებს თუ ძმისშვილებს, აბა ვინ მოგვიარდა სამტროდ, ლოპინის მხრიდან არ მოვა ჩვენი მტერი, უფრო სხვა მხრიდან ელოდეთო. იმ მეცხვარეებმა თუ მევენახეებმა, დააწყნარეს თემი და სოფელი. კიდევაც შეარცხვინეს — ვის წინააღმდეგ ემზადებით იარაღით, მტერი გაათავეთ და ეხლა მოძმეთ უნდა დაერიოთო?

ძალიან მომეწონა ჩემი კუთხის ხალხი, ცხოვრებისეული სიბრძნით დამძიმებულები. ახლაც სიხარულით მახსენდებიან განათლებულები, სხვათა ენების მცოდნენი, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ წამოდით, თუ თოფები არა გაქვთ, ჯიბის დანებით, ქვებით შეიარაღდით, თქვენი არჩეული მთავრობა დაიცავითო. განა ამ მოწოდებებმა არ გააღვივა ის ძმათა ომი, რომლის ხანძრის ჩაქრობაც ესოდენ გაგვიჭირდა? მე ისიც მჯერა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. მოღალატე ქართველი, ვინც უნდა იყოს, დაისჯება. — მას სამშობლო შეაჩვენებს და ღმერთი არ აპატიებს.

გულსატკენი ის გახლავთ, რომ მესამე წელიწადი მიდის, ჩვენს ზურმუხტოვან სამეგრელოში თუ აფხაზეთში, აღარას ვამბობ სამაჩაბლოზე, არავინა ხნავს და თესავს. განა ჩვენს გაჭირვებას ესღა უნდა?! ან რა გვესმის, — ტრაქტორებს წვავენ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ანადგურებენ, მიწის მშრომელებს სიკვდილით ემუქრებიან.

[illegible] ჩვენთან, საქართველოში, რა ვქნათ, ყანის დასამუშავებლად მამა-პაპურად თოხებით ვიაროთ? აბა გავიხსენოთ ჩვენი წინაპრების მრავალ ვაჟკაცურ ტრადიციათაგან თუნდაც ერთი. კაცს თუ სისხლი ემართა და მოსისხლე თავს მოულოდნელად წაადგებოდა, საკმარისი იყო მკვლელს გუთნისთვის ტარზე ხელი მოეკიდა, მოსისხლე ვერ მოკლავდა. ხვნა-თესვაზე შემდგარი კაცის სიკვდილი არ შეიძლებოდა. აბა, გული ნუ გეტკინება და ამგვარ წარსულს ნუ ინატრებ! რამდენი რამე დავკარგეთ, რამ დაგვწყევლა და გაგვაუკუღმართა? ერთი საქართველო გვაბარია, სხვა არაფერი, და ესეც დავკარგოთ? რაღას ვუტოვებთ ჩვენს შვილებს, შთამომავლობას?

ნუთუ ისე დავჩანაგდით, დავუძლურდით, რომ ჩვენი დარჩენილი წუთისოფელი ხელგაწვდილებმა უნდა ვიმათხოვროთ? ხელი კი უნდა გამოვილოთ, მაგრამ საშრომელად; სხვათა დახმარება ჩვენ ისე უნდა გვესმოდეს, როგორც უკეთ და ნაყოფიერად შრომის პერსპექტივა.

საქართველოში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ჩვენში ყველაზე უფრო საპატიო საქმედ გუთნისდედობა ითვლებოდა. მხვნელ-მთესველი კაცი დიდად ფასობდა ამიერ თუ იმიერ ჩვენს სამშობლოში, რატომ გვავიწყდება? რა საქმესაც დღეს ვადგევართ, ამას ჩვენი წინაპარნი ეშმაკის საქმედ თვლიდნენ. რომელი ჭკუათამყოფელი შეაფერხებს თავისი ქვეყნის სასიკეთოდ წამოსულ მარცვლეულითა და ნავთობით დატვირთულ ეშელონებს, როცა შენს სამშობლოში შია ღრმად მოხუცსა თუ ჩვილ ბავშვს?

როცა შენი დამშეული ქვეყნის ზარალი 6 მილიარდ მანეთს აჭარბებს?

რაო, ის ვალები ჩვენი მიზეზით დამშეულ შვილებსა თუ შვილიშვილებს უნდა გადავახდევინოთ?

განა არ დადგა ის დრო, როცა უნდა დავაგდოთ თოფი და ავიღოთ თოხი?

ნუთუ არა ვფიქრობთ, რომ ჩვენი უნიათობითა და უთავობით, შთამომავლობას სავალალო მემკვიდრეობას ვუტოვებთ?

საქართველოს ისეთი ნათელი პერსპექტივა გაუჩნდა, როგორზედაც ვერც ერთი ოპტიმისტი ვერ იოცნებებდა.

რამ დაგვაბრმავა, ისე რამ დაგვაბნელა ზოგიერთს გონება, ერთგულ კაცს ვერა ვცნდავთ?

როგორ? წავიდა ეს ჩვენებური კაცი, იმპერიის დანგრევაში [illegible] გამოიყენა, [illegible] გაერთიანა, ამუშავა ის მექანიზმი, რომლითაც გათავისუფლდნენ ბალტიისპირელები, თავისუფლდებიან სხვები, ჩვენც და კიდევ ვერ უნდა ვენდოთ, მხარში არ უნდა ამოვუდგეთ?

თუ ბეცები ვართ და ვერ ვხედავთ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ არც ერთი წინდახედული პოლიტიკოსი თავის სამშობლოზე ზრუნვას იმის ძახილით არ დაიწყებდა, მარტო ჩემს სამშობლოს გაუმარჯოსო?

უჭკუობაა ამგვარი ფიქრი და ღმერთმანი — უღმერთობაც.

ჯემალ ქურხული

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

შეიქმნა დიდი ქართველი მოცეკვავისა და [illegible] ქორეოგრაფის, ქართული კლასიკური ბალეტის ფუძემდებლის, სსრკ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვახტანგ ჭაბუკიანის დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი სურგულაძის თავმჯდომარეობით.

ვახტანგ ჭაბუკიანის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ვახტანგ ჭაბუკიანის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 9 და 10 აპრილს, 15 საათზე განსვენებულის ბინაზე — დავით აღმაშენებლის გამზირი, 83, მე-2 სადარბაზო.

გამოსვენება — შაბათს, 11 აპრილს თბილისის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობიდან — 15 საათზე.

დაკრძალვა — მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ეს ნაადრევიცაა და საზიანოც

კიდევ ერთხელ ფასიანი სწავლების შესახებ

დამოუკიდებელ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ცივილიზებულ სამყაროში თავისი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ჩვენ რესურსმატარებელი ქვეყანა არა ვართ, არც კაპიტალი გაგვაჩნია საჭირო რაოდენობით. ჯერჯერობით ერთადერთი, რითაც შეიძლება მივიპყროთ ცივილიზებული სამყაროს ყურადღება — ინტელექტუალური პოტენციალია, თუმცა ბოლო პერიოდში აქაც დავკარგეთ პოზიციები, გაუფასურდა არა მარტო დიპლომის, არამედ სამეცნიერო ხარისხების პრესტიჟიც. ცოდნა კი საშუალო სკოლიდან იწყება. უმაღლესი სკოლის მუშაკებმა კარგად ვიცით, თუ რა დონის ახალგაზრდობა მოდის ჩვენთან, მათი დიდი ნაწილის მომზადება წერა-კითხვის ცოდნას არ სცილდება. არადა, ალბათ, ქართული ხასიათის ფენომენია ის, რომ ადამიანს უსაფუძვლოდაც აქვს პრეტენზია უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის მიღებისა. გულახდილად ვთქვათ: განა აუცილებელია ყველამ დაამთავროს საშუალო სკოლა და მით უმეტეს — უმაღლესი? მაგრამ რა ვუყოთ ქართულ ამბიციებს, როგორ დავიოკოთ? ჩვენ ხომ წამბაძველები ვართ: „თუ მეზობლის შვილი სწავლობს, ჩემმა რატომ არ უნდა ისწავლოს?“ სწორედ ამ ჯიბრმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ხვალ საქართველოს შეიძლება აღარ დაურჩეს მიწისა და ქარხნის მუშა, ის კაცი, ვინც უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს.

საქართველოში 19 ოფიციალური უმაღლესი სასწავლებელია, რომელთა შორის ბევრია ტრადიციული. ისინი, ჩვენი მდგომარეობის კვალობაზე ასე თუ ისე აღჭურვილი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; სამეცნიერო პოტენციალის რეიტინგითაც ერთ-ერთი მოწინავე ვიყავით ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. ასეთ ვითარებაშიც კი ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტები შორს იყვნენ მსოფლიო სტანდარტებისაგან; ჩვენ გვიჭირდა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს კადრებს მოუწევთ მუშაობა სხვა ქვეყნებშიც (გაიხსნება არა მარტო საზღვრები, რაც საშუალებას მისცემს სპეციალისტებს ინტერესების მიხედვით გაემგზავრონ საზღვარგარეთის ქვეყნებში, არამედ საელჩოებიც, ქართველები მონაწილეობას მივიღებთ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში და ა. შ.), სწორედ უცხოეთში გამოჩნდება ყველაზე უკეთ ჩვენი ინტელექტი და პროფესიონალიზმი, უმაღლესი სკოლების ავიც და კარგიც, გამოჩნდება ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტების წუნიც.

ბოლო დროს უმაღლესმანიაობა აშკარად ავადმყოფურ ხასიათს იღებს. ალბათ, ევროპის არც ერთ განვითარებულ ქვეყანასაც არ ექნება იმდენი უმაღლესი სასწავლებელი, რაც დღეს საქართველოშია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სოკოებივით მომრავლდა უმაღლესი კომერციული სასწავლებლები. და არა მარტო მომრავლდნენ, არამედ დიდი პრეტენზიებიც გაუჩნდათ. ყოველივე ეს ხდებოდა ჩვენს თვალწინ, ძველი ხელისუფლების თანხმობითა და წაყრუებით. საბიუჯეტო უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებმა რამდენიმეჯერ დავაყენეთ საკითხი განსახილველად, მაგრამ ამაოდ; რაღაც უხილავი ძალა ამუხრუჭებდა ამ თემაზე საღ საუბარს. საკითხი კი მწვავეა, იგი ბევრ პრობლემას ქმნის დღესაც და გაცილებით უფრო მეტს შექმნის მომავალში.

ყოველწლიურად რესპუბლიკაში დაახლოებით 60 000 ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას. მათი ნაწილი 1991 წლამდე საკონკურსო გამოცდების შემდეგ ირიცხებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებლებში. იყო აზრი, და არცთუ უსაფუძვლო, იმის შესახებ, რომ 19 უმაღლესი სასწავლებელი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ბევრია, რომ ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება ასეთი დიდი რაოდენობის სპეციალისტები; და ამ დროს, მარტო 1991 წელს ქვეყანაში გაიხსნა 90-ზე მეტი ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი! ერთი სიტყვით, საქართველოში აღარ დარჩა ახალგაზრდა, უმაღლესში რომ არ სწავლობდეს. ჩარიცხვა მეტწილად ხდება საკონკურსო შერჩევის გარეშე, ან ამ შერჩევას აქვს ფორმალური ხასიათი. რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას? უპირველეს ყოვლისა — სპეციალისტთა ჭარბწარმოება, რაც მძიმე ტვირთად დააწვება საქართველოს ეკონომიკას. მეორე უბედურება ის არის, რომ სპეციალისტი, რომელიც საქართველოში ვერ პოვებს დასაქმებას, იძულებული გახდება წავიდეს სხვა ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად, რაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს. შრომითი რესურსების ისედაც დეფიციტურ ბალანსზე დემოგრაფიულ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს მომავალს.

ალბათ არ უნდა ეწყინოთ კომერციული სასწავლებლების მესვეურებს, თუ ვიტყვით, რომ მათთან სპეციალისტების მომზადების დონე მეტწილად არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, ვინაიდან მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ზოგჯერ — სამეცნიერო პოტენციალიც ვერ უპასუხებს უმაღლესი სკოლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ყოველივე ეს აუფასურებს არა მარტო კომერციული, არამედ საბიუჯეტო უმაღლესი სასწავლებლების დიპლომსაც.

საყურადღებოა ისიც, რომ კომერციული სასწავლებლების ნაწილი გაიხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე. ეს, ცხადია, იწვევს მათი სამეცნიერო პოტენციალის დაქსაქსვას, მკვეთრად მცირდება ძირითადი საქმიანობის ეფექტიანობა, რაც, საბოლოოდ, ძვირად უჯდება საზოგადოებას.

ისიც უნდა ითქვას, რომ კომერციული უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაუმართლებელმა ზრდამ გამოიწვია სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დენადობა საბიუჯეტო უმაღლესის სასწავლებლებიდან კომერციულ სასწავლებლებში, ვინაიდან მათი ანაზღაურების დონე იქ 1,5-2-ჯერ მეტია, რაც საფრთხეს უქმნის ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების არა მარტო პედაგოგიურ პერსონალს, არამედ საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოების არსებობასაც.

საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოყალიბებულია სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ერთიანი სისტემა, რომელიც სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება, კომერციულ სასწავლებლებში კი ასეთი სისტემა არ არსებობს, რასაც მოჰყვება მათ მიერ გაცემულ დიპლომზე უკონტროლობა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში შემოღებული სპეციალობები არ შეესაბამება დღეისათვის არსებულ სპეციალობათა ნომენკლატურულ ნუსხას.

დასაფიქრებელია ისიც, რომ კომერციული სასწავლებლების უმეტესობაში მსმენელთა ჩარიცხვა მოხდა საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ, ასე რომ, იქ ჩაირიცხა დაბალი მომზადების აბიტურიენტები, ეს კი ჩვენი აზრით, გამოიწვევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ისედაც დაბალი დონის კიდევ უფრო დაქვეითებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ კომერციული სასწავლებლების სტუდენტებისა და მათი მშობლების ნაწილი, სწავლების მეორე ან მესამე წელს ვერ მოახერხებენ საფასურის გადახდას, რაც დღის წესრიგში დააყენებს მათ უფასო სწავლებას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ან საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებლებში. ამას კი შეიძლება მოჰყვეს დესტაბილიზაცია.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ჩვენ კატეგორიულად უარვყოფდეთ კომერციულ სწავლებას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ფორმაც იპოვის თავის ადგილს, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, საწარმოებისა და მოსახლეობის ლეგალურ შემოსავლებს არა აქვთ მყარი საფუძველი, კომერციული სასწავლებლების ასეთი რაოდენობით გახსნა ნაადრევად და საზიანოდ მიგვაჩნია. სანამ რესპუბლიკა მტკიცედ არ გადავა საბაზრო ეკონომიკაზე, შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კომერციული სასწავლებლების გახსნა, რომლებიც პიროვნებას მისცემს თვითგანვითარების შესაძლებლობებს, რაც არ იქნება დაკავშირებული მატერიალური დოვლათის შექმნასთან. ასეთი ტიპის უმაღლესებად ჩვენ გვესახება შემოქმედებითი დარგის სასწავლებლები (კულტურის, მუსიკის და ა. შ.).

მაგრამ თუ კომერციული სწავლება მაინცდამაინც უნდა არსებობდეს, სრულიად გაუგებარია ყოფილი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება საბიუჯეტო უმაღლეს სკოლებში მისი აკრძალვის შესახებ.

ამას წინათ განათლების სამინისტროში საბიუჯეტო უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს სჯა-ბაასი გვქონდა ამ საკითხზე. გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გარკვეული რაოდენობით ჩვენც მოგვეცეს უფლება კომერციული სწავლებისა და ბოლოს და ბოლოს მიეცეს ნება ფასიანი სწავლებისა იმ უმაღლესებს, რომლებსაც მართლა შეუძლიათ მოამზადონ ნორმალური სპეციალისტები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაუსწრებელი სწავლების სექტორი (ახალი მიღება) მთლიანად გადაიყვანოს კომერციულ სწავლებაზე; ამავე დროს შექმნას კომერციული ფაკულტეტი მეორე სპეციალობის მისაღებად, რაც ფინანსურად შეავსებს ჩვენს გაღატაკებულ სალაროს და, რაც მთავარია, ფასიანი სპეციალისტების მომზადებას ექნება მყარი მატერიალურ-ტექნიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური უზრუნველყოფა.

იმედია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ დააყოვნებს და დროზე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ნაპოლეონ ქარქაშაძე,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

სარედაქციო ფოსტიდან: სპექტრი

ფიქრები მომხდარზე და მომავალზე

როგორც ჭარბი სინათლე, ანდა სიბნელე, ორივე უშლის ხელს გარემო საგნების სწორად დანახვას, ასევე სიყვარულის თუ სიძულვილის განუზომელი გრძნობით გამსჭვალული კაცის მსჯელობა ადამიანზე და მის მოღვაწეობაზე, პიროვნებას და მის საქმიანობას სწორად ვერ წარმოგვისახავს. არ მაქვს პრეტენზია ჩემი მოსაზრებები საბოლოო ეტაპი იყოს ჭეშმარიტებისა. სადღაც შეიძლება შეფასება მიეცეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რეალურ ვითარებას და იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად უნდა განხორციელდეს.

ხშირად ისმის კითხვები: შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ძმათა სისხლისღვრა? რომელი მხარეა დამნაშავე? მთავარი დამნაშავე არის თვით ჩვენი საზოგადოება, მისი პოლიტიკური უმწიფარობა, დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა. ჩვენი საზოგადოება ჯერჯერობით რომ ამდაგვარია, ამაზე მეტყველებს თუნდაც მოვლენათა ისე უკიდურესად ცალსახად აღქმის ფაქტები, როგორიც არის, ერთი მხრივ, საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მიერ მთავრობისა და პრეზიდენტის გადადგომის აქციის რაღაც საშინელ ტრაგედიად, ლამისაა მეორედ მოსვლად აღქმა, მაშინ როდესაც ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში გადადგომა ჩვეულებრივი მოვლენაა; ხოლო მეორეს მხრივ — საზოგადოების სხვა ნაწილის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ძალით დამხობის ჩვეულებრივ მოვლენად აღქმა. რა თქმა უნდა, ცივილიზებულ ქვეყანაში ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება ასე პოლარულად არ დაიმუხტებოდა. ხოლო თუ ეს მაინც მოხდებოდა, განმუხტვაც უფრო უმტკივნეულო იქნებოდა.

ახლა თუ ისე, ის, რაც უსისხლოდ უნდა მომხდარიყო, ძმათა სისხლით ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენ ვდგავართ მომხდარი ფაქტისა, და, აქედან გამომდინარე, მრავალი მტკივნეული პრობლემის წინაშე, რომლებიც ორგანიზებულად უნდა გადაიჭრას.

ამიტომ თხოვნით მინდა მივმართო ჩვენს თანამემამულეებს: ნუ აჰყვებიან ემოციებს, ვიდრე პოლიტიკურად გააქტიურდება, კაცმა ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინოს არსებული რეალური ვითარება, მოვლენების განვითარების მიმართულება და მერე დაისახოს მიზნები თავისი შესაძლებლობის გათვალისწინებით. რეალური ვითარება კი დღეს ასეთია: ფაქტობრივად პრეზიდენტის კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნება ამჟამად, ყოველ შემთხვევაში პარლამენტის არჩევნებამდე, არარეალურია. მოვლენების განვითარების მიმართულება, თუმცაღა ქვეყანაში ტრაგიკული სიტუაციაა, მაინც ოპტიმისტური განწყობილების მომგვრელია. მოვლენათა ასეთნაირად შეფასების მიზეზს იძლევა შემდეგი გარემოებანი: პირველი და მთავარი ის არის, რომ უახლოეს მომავალში გაიმართება მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები და ხალხს მიეცემა საშუალება გამოხატოს თავისი ნება ქვეყნის მმართველი ორგანოების ასარჩევად ისე, რომ ამ უფლების მოპოვებისათვის მას ბრძოლა და წინააღმდეგობები არ შეხვდება (ხომ შეიძლებოდა, რომ დავმდგარიყავით ხელისუფლების ხანგრძლივი უზურპაციის ფაქტის წინაშე?) მეორე ის გახლავთ, რომ დროებითი მთავრობა, შექმნილია რა ძირითადად პროფესიონალიზმისა და არა პარტიულობის პრინციპით, თავისი კომპეტენტურობითა და ქმედუნარიანობით არამც თუ ჩამორჩება, აღემატება კიდეც წინა ოფიციალურ მთავრობას. აქედან გამომდინარე, მაშინ როდესაც ქვეყანაში უმძიმესი და ურთულესი კრიზისული მდგომარეობაა და მხოლოდ რამდენიმე თვეა დარჩენილი არჩევნებამდე, რომლის შედეგადაც ისედაც ავტომატურად გადადგება დროებითი მთავრობა, არავითარი გამართლება არ ექნება მანამდე მისი გადადგომის მოთხოვნას. ასეთ რთულ ვითარებაში მთავრობის შეცვლა მხოლოდ გააძნელებს მართვის პროცესებს და კიდევ უფრო გააუარესებს ჩვენი ქვეყნის ისედაც მძიმე მდგომარეობას, რაც შეიძლება ხელს აძლევდეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მტრებს და არავითარ შემთხვევაში ქართველებს, ვინც უნდა ვიყოთ, რა პოზიციასაც უნდა ვადგეთ. საქმე ის არის, რომ მოახლოებული არჩევნების წინ ქვეყნის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება შეიძლება ხელს აძლევდეს მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც ქვეყნის ნორმალური კეთილდღეობის პირობებში არა აქვთ გამარჯვების შანსი და მხოლოდ ხალხის უკიდურესი დაკნინებული ყოფის დროს შეიძლება სხვადასხვა მაქინაციითა და დემაგოგიური დაპირებებით მოახერხონ წარმატების მოპოვება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ფაქტი: როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებმა გაათავისუფლეს საბერძნეთი, სადაც მაშინ კომუნისტებს გავლენა ჰქონდათ, მაშინვე უნდოდათ მოეწყოთ იქ პარლამენტის არჩევნები, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია უინსტონ ჩერჩილმა. მან განაცხადა, რომ ყოვლად დაუშვებელია ახლა გაპარტახებულ, ნატანჯ და დამშეულ ქვეყანაში არჩევნების მოწყობა, რადგან სადაც სიღატაკე, შიმშილი, ჭუჭყი, ტილია, კომუნიზმიც იქ ვრცელდებაო; ჯერ მოღონიერდეს ქვეყანა და მერე მოეწყოს არჩევნებიო. ჩვენ თუ გვსურს ჩვენში ნამდვილად დემოკრატიული და სწორი არჩევნები მოვაწყოთ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უმოკლეს ხანში დროებით მაინც მივაღწიოთ მაქსიმალურ სიმშვიდეს და სტაბილურობას.

ჩვენში ზოგ კაცს, რამდენიმე წელი ციხეში თუ გაატარა და ქუჩის ტრიბუნიდან ლაპარაკიც ისწავლა, თავი პარლამენტისათვის მომზადებული ჰგონია. ისევე, როგორც ადრე, თუ კაცი პარტიის ან კომკავშირის კრების წარმართვას და ოქმის შედგენას ისწავლიდა, თავი სახელმწიფო მოღვაწედ წარმოედგინა. ჩვენ კი თვალნათლივ დავინახეთ, რომ ბევრი ჩვენი პარლამენტარი ხშირად არათუ კონსტრუქციული საქმისა და მსჯელობის უნარს ვერ იჩენდა, ელემენტარული საპარლამენტო ქცევის, ლაპარაკისა და მოსმენის კულტურასაც კი ვერ ამჟღავნებდა.

ისმება კითხვა: თუ კი პრეზიდენტის კვლავ დაბრუნება ამჟამად არარეალურია, დროებითი მთავრობის გადადგომის მოთხოვნა გაუმართლებელია, მაშინ რა პოლიტიკური მიზნები უნდა გვქონდეს? პირველ რიგში მოვაშოროთ ჩვენს გონებით ხედვას პათოლოგიურად ჭარბი სიძულვილით თუ სიყვარულით გამოწვეული დაბინდულობა და სადად შევხედოთ და აღვიქვათ ჩვენი ქვეყნის უკიდურესად სავალალო მდგომარეობა, რომ ჩვენ ვდგავართ სახელმწიფოებრივი დაკნინების, მისი ერთიანობის დარღვევისა და, რაც მთავარია, ზნეობრივი დაცემის გზაზე და თუ დროზე არ ვუშველეთ საქმეს, კატასტროფა გარდაუვალია. ჩვენი ზნეობრივი დაცემის შემაშფოთებელი უტყუარი ნიშნები უკვე სახეზეა. პირველი ნიშანი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ასეთ კრიზისულ სიტუაციაშიც კი ჩვენში ჯერ კიდევ მასობრივად ვერ ამუშავდა მაღალი საერთო-საქვეყნო პატრიოტული შეგნება, რომელიც ყოველგვარ ვიწრო პარტიულ, კუთხურ და პირად ამბიციურ ინტერესებზე მაღლა დააყენებდა სამშობლოს გადარჩენის საერთო ინტერესებს და გამოიწვევდა ერის ძალების კონსოლიდაციას. არათუ ასეთი მაღალპატრიოტული შეგნება, ჩვენში თავისი მოდგმის გადარჩენის ბიოლოგიურმა ინსტინქტმაც კი ვერ გაიღვიძა სრული ძალით; ჩვენი საზოგადოების რაღაც ფენა უკვე აღმოჩნდა ზნეობის თუ უზნეობის ისეთ დონეზე, რომ ცხოველებისაც კი ლამის შეგვშურდეს. იმ დროს, როცა ყველა ქართველი, მით უმეტეს შეიარაღებული ახალგაზრდა, ერის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს, ერთმანეთის ძარცვა-ხოცვაზე არიან გადასული და ისიც როგორი უზნეო ფორმებით: ქართველი ქართველს, მეზობელი მეზობელს, ბავშვს თუ მოხუცს ვინღა ჩივის, ძმა ძმას, დას, ბიძას, თავის სისხლსა და ხორცს აღარ ინდობს და ფულის გულისთვის ნიღბაფარებული წამებით სულს ხდის თავისიანებს, საბედნიეროდ ჩვენში ასეთ ზნედაცემულთა რაოდენობა ჯერ კიდევ ბევრი არ არის. ამიტომ, ახლა ყველა ჭეშმარიტმა პატრიოტმა, ვისთვისაც ძვირფასია თავისი სამშობლოს ინტერესები, უნდა გვერდზე გადადოს ერთმანეთისადმი ყოველგვარი წყენადობა, წარსულ შეცდომებში ქექვა, კინკლაობა, შური, მტრობა, ნიშნის მოგება თუ ანგარიშსწორება და შევეცადოთ ქვეყნის ბედი ჭეშმარიტ მამულიშვილთ ჩავაბაროთ. სადღეისოდ ის მტკივნეული საკითხიც. საქართველოში დარჩება თუ არა საერთოდ პრეზიდენტის მმართველობა და თუ დარჩება რა სახით, ეს საბოლოოდ მხოლოდ მომავალმა პარლამენტმა ან მის მიერ მოწყობილმა საერთო-სახალხო რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს. შეიარაღებული ბრძოლა ანდა ბოიკოტი შრომას თუ არჩევნებს არის გზა ქვეყნის დაკნინება-დაღუპვისაკენ. მხოლოდ საარჩევნო ურნებთან მშვიდობიანი და პატიოსანი ბრძოლის გზით, პარლამენტისა და რეფერენდუმის გზით, ქრისტიანული გზით სვლა მიგვიყვანს სანუკვარ მიზნამდე. სადღეისოდ ასე მესახება ჩვენი ძირითადი საზრუნავი, რადგან მასზეა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს მომავალი კეთილდღეობა.

ვაჟა იმერიელი,
საქართველოს ენდოკრინოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.

სარედაქციო ფოსტიდან: სპექტრი

ეკონომიკური რეფორმა

ბლოკირება დაუშვებელია

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მშვიდობიანობისა და ეროვნული თანხმობის აღდგენის საკითხთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქმე ამ სფეროში სახარბიელოდ არა გვაქვს. იმის მაგივრად, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ დრო და ავანაზღაუროთ წინა რეჟიმის ფუჭუნური სოციალისტური ორიენტაციით გამოწვეული დანაკარგი, ვხედავთ, რომ იქმნება გაუმართლებელი, ხელოვნური წინაღობები. ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი არამც თუ არ იკვეცება, უკანასკნელ ხანს შეინიშნება მისი პოზიციების განმტკიცებაც კი.

ჩვენ როცა ბატონ რომან გოცირიძეს ეკონომიკური რეფორმის დარგში რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტზე რეკომენდაცია ვუწიეთ, ამით ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ ამ რეფორმის შედეგებისათვის. ამიტომაც ვერ ვიქნებით გულგრილი რეტროგრადი ძალების მხრიდან რეფორმის ბლოკირების მცდელობისადმი. მით უმეტეს, რომ ქვეყნის ღრმა კრიზისიდან გამოყვანის სხვა გზას ვერ ვხედავთ.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი თვისებრივად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, კვლავინდებურად მოქმედებენ ისეთი ანაქრონული რგოლები, როგორიც არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება, ასევე საერთო ზედამხედველობის განყოფილება პროკურატურაში, რომელთა ჩარევა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამეურნეო სტრუქტურების საქმიანობაში სცილდება მათ უშუალო ფუნქციებს.

ყოველივე ამის გამო სრულიად დაუცველი რჩება არასახელმწიფო სექტორი, ყოვნდება სახელმწიფო საწარმოთა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პრივატიზაცია. ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელთა პოზიცია, უწყებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა სერიოზულად აფერხებს ეკონომიკურ რეფორმას.

ცალსახად გადაწყვეტილების მიუხედავად, მუხრუჭდება მიწის რეფორმა, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის. ამის ინიციატორებად გვევლინებიან დრომოჭმული საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების აპოლოგეტები, რომელთა პოზიციაც შორს დგას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა. მას ყოველმხრივი, მათ შორის პროპაგანდისტული მხარდაჭერა ესაჭიროება და არა ხელის შეშლა, რასაც, სამწუხაროდ, ვხვდებით მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების, კერძოდ, ტელევიზიის მხრიდან.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულმა ტენდენციებმა, თუ მათ დროულად სათანადო შეფასება და რეაგირება არ მოჰყვა, შესაძლოა მოსახლეობის თვალში გამოიწვიონ ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და საბაზრო ურთიერთობების კომპრომეტაცია, რასაც გარკვეული ძალები უდავოდ გამოიყენებენ საკუთარი მიზნებისათვის.

ჩვენ კვლავაც ვუჭერთ მხარს აუცილებელ და გადაუდებელ გარდაქმნებს, რამეთუ იმ ღონისძიებებმა, რომელთა გატარება უკვე მოხერხდა ეკონომიკაში, უკვე იწყეს დადებითი შედეგების გამოღება. საჭიროა ამ პროცესის დაჩქარება, მისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა, რაშიც, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, მხარს დაგვიჭერენ ჩვენი საზოგადოების მთელი პროგრესული ძალები.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
ორგანიზაცია „დას“-ი;
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია;
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი;
საქართველოს მწვანეთა პარტია;
თავისუფალი დემოკრატთა კავშირი;
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

ფოტორეპორტაჟი

ხსნად მოევლინა



ენერგეტიკულმა კრიზისმა ცოდვის დღეში ჩააყენა რესპუბლიკის საწარმოები, უფრო მეტად კი გიგანტები, რომელთაც ამ მიზეზით ათმილიონობით მანეთი იზარალეს. ერთი მათგანია რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, რომელმაც წლეულს პირველ კვარტალში 270 მილიონი მანეთი იზარალა. აქ საბალანსო წაგება 8 მილიონ მანეთს შეადგენს.

ეს კატასტროფის ტოლფასია, მაგრამ საწარმოში მაინც შეძლეს გაზრდილი ხელფასების გაცემა. მართალია, ქარხანა გაჩერებული იყო, მაგრამ მუშაკთა დიდი ნაწილი ასრულებდა სარემონტო სამუშაოებს, ამზადებდა საწარმოს კრიზისიდან გამოსასვლელად.

და აი, 17 მარტიდან დაიწყო ძირითად საამქროთა გაშვება, რომელთა სრულ ამოქმედებას მთელი თვე დასჭირდება. ასეთ სიტუაციაში საწარმოს, სწორედ რომ, ხსნად მოევლინა კოსმეტიკური ნაწარმის საამქრო, რომელიც 1990 წელს აქ გერმანულ ფირმა „კუნესთან“ ერთობლივად ააშენეს, შარშან მან „აზოტს“ 100 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია მისცა, ხოლო წელს პირველ კვარტალში ეს ერთადერთი საამქრო იყო, რომელიც მთელი დატვირთვით მუშაობდა. სწორედ მან გადაარჩინა კოლექტივს გასაჭირი, და იცით რატომ? ამ საამქროს პროდუქციის თვითღირებულებაში ენერგორესურსების ხარჯი 1 პროცენტსაც არ აღწევს.

გასაკვირი არ არის, რომ საწარმოში უპირველეს ამოცანად მიიჩნევენ კოსმეტიკური ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებას.

სარემონტო სამუშაოები ახლა მთელი ძალით გაჩაღდა და ვარაუდობენ, რომ მათი დასრულება საშუალებას მისცემთ დამატებით მიიღონ 850 მილიონი მანეთის პროდუქცია.

• • •

სურათებზე: მეაპარატე ციცინო მაღლაკელიძე; მეაპარატე მაია კურცხალია, წარმოების უფროსი მარლენ ლაბაძე და განყოფილების უფროსი გიორგი მაისურაძე ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს; კოსმეტიკური ფანქრების ჩაწყობა.

თედო ნიკოლაიშვილის
ფოტორეპორტაჟი.

ერთობის მადლით

ერთი თვეა დუშელებს არ მოკლებიათ პური, გაზი, წყალი, ელექტროენერგია თუ გათბობა.

ერთი თვეა არ დარღვეულა სიმშვიდე არ მომხდარა პოლიტიკური დაპირისპირება, ყაჩაღობა, მძიმე დანაშაული.

ერთ კვირაში დაამდა ფასანაურში ჩამოწოლილი ზვავით გამოწვეული ჭრილობები, მთავრობის დახმარებით აღდგა სოფლებში მისასვლელი გზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზები. შეტანილია ფქვილი.

დამთავრდა რაიონის მიწების ინვენტარიზაცია. დაიწყო მიწის რეფორმის პირველი ეტაპის ღონისძიებათა განხორციელება.

მითხრა დუშეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ უშანგი პირმისაშვილმა. მეც დუშური ძირი მაქვს და ვიცი, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის, თუმცა გასაკეთებელი და მისახედი ბევრი აქვთ ამ თვე-ნახევრის წინათ აქ არჩეულ საკრებულოსა და მის ხელმძღვანელს.

— მას შემდეგ რაც რაიონის მოსახლეობამ ნდობა გამოგვიცხადა, — განაგრძობს ბ-ნი უშანგი, — პირველი მიზანი [illegible] — რაიონისა და ქალაქის მშრომელების ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნისთვის. მთავარი იყო სიმშვიდე, დიალოგი, შეთანხმება ადგილობრივ პარტიებთან. შევქმენით საკონსულტაციო საბჭო, გავაერთიანეთ ჩვენი ძალები და ასე ერთობლივად შევუდექით საქმიანობას. სწორედ ამის შედეგია, რომ დღემდე არ შეფერხებულა მოსახლეობის პურით მომარაგება, თითქმის შეუფერხებლად გვაქვს გაზი, წყალი, ელექტროენერგია, დამყარდა წესრიგი, ერთი ქურდობის ფაქტის გარდა, არ მომხდარა დანაშაული.

მაგრამ, ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ჩვენი ხალხის მაღალი შეგნება და პასუხისმგებლობა, [illegible] ჩვენი ხალხი მხოლოდ [illegible] ერთიერთთანადგომაში.

— თქვენთან დუშეთში საერთოდ არ შეწყვეტილა სწავლა თითქმის შეუფერხებლად მუშაობენ წარმოება-დაწესებულებები. რამ განაპირობა ასეთი სტაბილურობა?

— პოლიტიკური ციებ-ცხელება განვლილი ერთი წლის მანძილზე არც დუშელებს დაგვაკლებია, როგორც ყველგან, ისე ჩვენთანაც იყო მიტინგები, აქციები, დაპირისპირება, მაგრამ, ხომ იცით, არაგველები, რეალური ჰერეტის ხალხია და სამშობლო და მშვიდობა ყველაფერს გვირჩევნია. განა რა უნდა შეთანხმებას მაშინ, როცა ყველას ერთი მიზანი და მისწრაფება — საქართველოს თავისუფლება და აღორძინების სურვილი გვაერთიანებს. ამიტომაც ჩვენი არჩევის შემდეგ არ შევხებივართ კადრებს, ყველას დაუძახეთ, მოვითათბირეთ, შევუთანხმდით და ასე თანდათანობით მივყვებით საქმეს.

— უკანასკნელ წლებში შექმნილმა ქაოსმა უდიდესი ზარალი მიაყენა რაიონის მეცხოველეობას. რა მდგომარეობაა ახლა?

— მართალი ბრძანდებით, [illegible] როგორც რაიონში, ისე ყიზლარშიც დავიწყეთ თივისა და კომბინირებული საკვების შეზიდვა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა მდგომარეობა თანდათან გამოსწორებულიყო. ახლა გამოზამთრება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: განვლილი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააზარალა რაიონის მეცხოველეობა. ორჯერ შემცირდა ცხვრის სულადობა. ახლა 198 ათასის ნაცვლად გვყავს 63 ათასი სული ცხვარი, 9000 სული საქონლის ნაცვლად — 5 ათასი, 5.000 ღორიდან დაგვრჩა 3.000. შექმნილი განუკითხაობის დროს დაიკლა, დაიტაცეს, მიითვისეს ასობით სული ცხვარი და საქონელი. დღეს ამ საქმეს რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს, და იმედი გვაქვს, რომ დამნაშავეებს სასჯელი არ ასცდებათ. მაგრამ ეს რა შეღავათია ჩვენთვის. ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ აღვადგინოთ დუშეთის მხარისთვის ეს წამყვანი [illegible], ისევ მოვამრავლოთ ცხვარ-ძროხა.

— ბატონო უშანგ, როგორ მიმდინარეობს თქვენთან მიწის პრივატიზაცია?

— თითქმის დავამთავრეთ მიწების ინვენტარიზაცია. ისეთი რთული რელიეფის რეგიონში, როგორიც დუშეთის რაიონია, ეს საქმე სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ახლა, როცა გაგვაჩნია კონკრეტული მასალა დავიწყეთ კიდეც საკარმიდამო ნაკვეთების შევსება. ფართოდ ვუჭერთ მხარს იმას, რომ ცალკეულმა სოფლებმა შექმნან თავიანთი დამოუკიდებელი აგროფირმები, ხოლო იმათ, ვისაც სურს, ხელი მიჰყონ ფერმერობას, ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით.

— დუშეთის რაიონი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. ბუნებრივი წყალობის გამოყენებას რაიონის საკეთილდღეოდ?

— მართლაც ბევრი რამ გვაქვს უნიკალური. მაგრამ ბაზალეთის ტბაც კი დღეს ვერ არის ისე მოვლილი, რომ აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ვეძებთ სპონსორებს, რომლებიც ხელს მოჰკიდებდნენ აქ თანამედროვე დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობას. ეს საშუალებას მოგვცემდა დაგვესაქმებინა ჩვენი ახალგაზრდობა.

სხვაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი დუშეთში. უკვე დავიწყეთ და მალე აღვადგენთ ბოლშევიკების მიერ დანგრეულ დუშეთის ეკლესიას, შევისწავლეთ დუშეთის რაიონის მინერალური და სასმელი წყლების მეცნიერული პარამეტრები, ვეძებთ საშუალებას ამ სიმდიდრის გამოსაყენებლად.

იმედი გვაქვს, რომ მალე ამოქმედდებიან ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ორგანიზაციებიც, გამოჩნდება საშენი მასალები: ცემენტი, ტექნიკა, განახლდება მშენებლობები, ისევ ამოძრავდება ხალხი. სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია.

და ბოლოს, ერთსაც გეტყვით: არაგველები, მოგეხსენებათ, თავისებური ხალხი ვართ, ჭირთა თმენაც ვიცით და იმის ტრადიციული თანადგომაც, ვინც საქართველოს უწინამძღვრებს თავისუფლებისა და აღმშენებლობის გზაზე.

— ღმერთმა აგაშენოთ, გმადლობთ.

გია ჭელიძე.



პოზიცია

შენდობა, შერიგება, შრომა

ამ ოთახში ყველაფერი ძველებურად არის. სამუშაო მაგიდის თავზე ისევ ჰკიდია მისი საყვარელი პედურობა — სულხან-საბა; მარჯვნივ მთელ კედელზე ბიბლიოთეკაა, მარცხნივ — ფანჯრები, საიდანაც ნათელი იღვრება მთელ ოთახში. ტელევიზორიც თავის ადგილას დგას. თავად აღარ არის მხოლოდ ბატონი ირაკლი აბაშიძე, მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე რომ თავკაცობდა ქართული ენციკლოპედიის გამოცემას.

— აქ, მის ყოფილ კაბინეტში ერთგვარი მუზეუმი გვინდა მოვაწყოთ. ყველაფერს, როგორც არის, ისევე დავტოვებთ. ზოგ რამეს დავამატებთ მხოლოდ. მის პირად ნივთებს დავაწყობთ მაგიდაზე. ბიბლიოთეკას, რომელშიც ახლა ძირითადად ენციკლოპედიის გამოცემებია, ბატონ ირაკლის წიგნებს, მის მშვენიერ ლირიკულ კრებულებს დავუმატებთ. თანაც, მინდა ხაზი გავუსვა, ეს გამოკეტილი მკვდარი მუზეუმი-ოთახი კი არ იქნება, არამედ — რაღაც ცოცხალი ორგანიზმი. თანამშრომლები ხშირად შემოვალთ აქ, ისევ ისე შევიკრიბებით ხოლმე, როგორც ძველად, ისევ ისე შემოვუსხდებით ტელევიზორს რაიმე საინტერესო გადაცემისას, როგორც ბატონი ირაკლის დროს. მისი სული ისევ ჩვენთან იტრიალებს...

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას ირაკლი აბაშიძის სახელი უნდა დაერქვას, მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნას ენციკლოპედია „საქართველოს" ოთხტომეული. — **ეს ბატონი ავთანდილ საყვარელიძე, ქართული ენციკლოპედიის ამჟამინდელი მთავარი რედაქტორი.**

სავიზიტო ბარათი: 55 წლის, პროფესია — ინჟინერ-მექანიკოსი და ეკონომისტი. ჰყავს ცოლი, ორი შვილი და ამდენივე შვილიშვილი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქარხანაში ინჟინრად, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში სწავლულ მდივნად, საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში განყოფილების გამგედ. იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ყოფილი კალინინის რაიკომის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე. ბოლო წლებში ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, სულ ახლახანს კი მან რედაქტორის პოსტზე თანამშრომელთა ერთხმოვანი არჩევანით შეცვალა ბატონი ირაკლი აბაშიძე.

— ირაკლი აბაშიძე იმ უნიკალურ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა შეცვლა საერთოდ შეუძლებელია. ამის პრეტენზია არც მქონია და არც ახლა მაქვს. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ერთად, საერთო ძალისხმევით უნდა ვაკეთოთ დღეს საქმე. ამიტომაც გადავწყვიტეთ გაგვეყო ის ფუნქციები, რომლებსაც ბატონი ირაკლი ასრულებდა, და საენციკლოპედიო მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებათა განმსაზღვრელის — მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ ავირჩიეთ გამოჩენილი მეცნიერი და შესანიშნავი მოქალაქე აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. მე კი, პირადად, თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ბატონ ირაკლისთან მომიწია მუშაობამ. ჩემთვის იგი ქართული ლიტერატურის კლასიკოსი და დიდი საზოგადო მოღვაწეა. ვამაყობ, რომ მასთან მაკავშირებდა ოცდახუთწლიანი პირადი მეგობრობა. ვწუხვარ, რომ მას (მავანთა ქმედობის გამოც) ბევრი დარჩა სათქმელი და შემოსაწირი.

— რედაქციას საინტერესო გეგმები და პერსპექტივები აქვს ალბათ.

— რა თქმა უნდა. წლის ბოლომდე უნდა დაისტამბოს ენციკლოპედია „საქართველოს" პირველი ტომი. ეს ოთხტომეული ეროვნული ენციკლოპედიაა, ობიექტურობისა და წმინდა მეცნიერული, დეიდეოლოგიზებული პრინციპებით შექმნილი. მის ტერმინ-წერილებში ვიხილავთ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია საქართველოსთან და ქართველებთან, ჩვენი ქვეყნისა და ერის ადგილთან მსოფლიო ცივილიზაციაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მრავალტომეულის გამოცემას. სტამბას გადაეცა აღწერილობის მეორე წიგნი, მთავრდება მესამე წიგნზე მუშაობა. ათწლეულის ბოლომდე დაგეგმილია ოცზე მეტი დარგობრივი და პერსონალური ენციკლოპედიისა და ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა გამოიცეს ქართული ენციკლოპედიის 12 ტომეულის სახელობითი საძიებელი ტომი (ამით ვალს მოვიხდით ხელის მომწერთა წინაშე), ენციკლოპედია „ქართული ენა", „პოლიტექნიკური ლექსიკონი", საოჯახო ენციკლოპედია, „მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების" ოთხტომეულის პირველი ტომი.

— დღევანდელ სიტუაციაში, ალბათ, მრავალი სირთული და პრობლემა გაქვთ.

— უამრავი. სტამბა, წიგნით ვაჭრობა, ქაღალდი, მუყაო, ლიდერიმი, ფოლგა — ყველაფერი პრობლემაა. საბაზრო ეკონომიკა იქმნება ცარიელ ადგილზე, ფაქტობრივად უბაზროდ, საწარმოთა მონოპოლიზმის პირობებში. ენციკლოპედია „საქართველოს" გამოცემის ხარჯები რომ დავფაროთ, მისი ტომის (თითოეული ეგზემპლარის) ფასი 300 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ამ ბოლო წლებში სერიოზული, აღმზრდელობითი ფუნქციის მატარებელი ლიტერატურის გამოცემა ერთობ გაძნელებულია. სამაგიეროდ იბეჭდება მრავალი საეჭვო ღირებულების წიგნი. მეტიც: გახშირდა „მეკობრული" მეთოდების გამოყენება, ენციკლოპედიებში, მათ შორის ქართულში, დაბეჭდილი მასალების კოპირება შეუთანხმებლად. არადა აუცილებელია ამ პროცესს ცივილიზებული, მსოფლიოში მიღებული ხასიათი მიეცეს. თუ არა, იძულებული გავხდებით სასამართლოს მივმართოთ.

და საერთოდ, წიგნის გამოცემის სფეროში აუცილებელია სახელმწიფო მფარველობის პოლიტიკის განხორციელება. ალბათ, ეს ასეც იქნება.

— მოდით, ახლა კი ენციკლოპედიიდან ცოტა გარეთ გავიხედოთ. თქვენი ბიოგრაფიის კაცისაგან მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს. ვთქვათ ის, თუ ყოფილი რაიკომის პირველი მდივანი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე რატომ გახვედით პარტიიდან?

— შარშან იანვარში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კომუნისტურ პარტიაში კარდინალური ცვლილებები არ მოხდებოდა; მეტიც — დავინახე სამხედრო-კომუნისტური დიქტატურის დამყარების საშიშროება. ამის შესახებ მაშინ ვწერდი კიდეც განცხადებებშიც, პრესაშიც. ჰოდა მეც გავედი კომპარტიის რიგებიდან.

— თქვენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ბრძანდებით. როგორ შეაფასებდით პარლამენტის მოღვაწეობას, საერთოდ იმ პერიოდს?

— ყოველი მოვლენისა და ფაქტის ყოველმხრივი ანალიზისა და ობიექტური შეფასებისათვის სრული ინფორმაციაა საჭირო. მე ასეთი ინფორმაცია არა მაქვს. „შეკვეცილი პარლამენტის" შეკვეცილი ტელეგადაცემების მიხედვით შეფასება კი ძალიან რთულია. ამიტომ მხოლოდ ორ საკითხს შევეხები. მე იმ ადამიანების რიცხვს არ მივეკუთვნები, რომლებიც ჩვენი ისტორიის რომელსამე პერიოდს — ორასწლიანს, სამოცდაათწლიანსა თუ ერთწლიანს მხოლოდ მუქ ან ვარდისფერ კოლორიტში ხედავენ და ხატავენ. ცხოვრება გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანია. და მეორე: ძალიან ვწუხვარ, რომ პარლამენტი და პრეზიდენტი რაღაც უცნაურმა ბედისწერამ აიტანა და თავადვე ყველაფერი გააკეთეს, რათა მათი მოღვაწეობა ამგვარი ტრაგიკული მოვლენებით დასრულებულიყო.

— წამოაყენებთ თუ არა თქვენს კანდიდატურას პარლამენტის მომავალი არჩევნების დროს?

— არა. ბოლოს და ბოლოს საქართველოში უნდა დასრულდეს შეთავსებით პოლიტიკური საქმიანობის პერიოდი. პოლიტიკა ურთულესი და უმძიმესი პროფესიაა, ის ადამიანისაგან ფიზიკური და სულიერი პოტენციალის სრულ ამოქმედებას მოითხოვს.

— ბატონო ავთანდილ, თქვენ წლების მანძილზე მუშაობდით ბატონ ედუარდ შევარდნაძის გვერდით. დღეს უნდათ თუ არ უნდათ, ყველა აღიარებს, რომ იგი უსაზღვრო გაქანების ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსია. მაგრამ საკმაოდ ხშირად ესეც გვესმის: არის კი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პატრიოტი? როგორ ფიქრობთ...

— ამ საკითხის ასე დასმა თავისთავად შეცდომაა, რადგან ბატონი ედუარდის პიროვნული თვისებები წმინდა ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მეტსაც გეტყვით: მის უმძიმეს ბრძოლას ახალი აზროვნების, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პრიმატის დამკვიდრებისათვის საგარეო (და არა მარტო საგარეო) პოლიტიკაში ქართული, ზოგჯერ რომანტიზმამდე ქართულიც კი, ელფერი დაჰკრავდა.

— ერთი შიში მინდა გაგიზიაროთ, რომელიც ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს ერთ წევრთან საუბრის შემდეგ გამიჩნდა. ვიცით, რამოდენაა ბატონ შევარდნაძის ავტორიტეტი, როგორ განიხილავს, ამუშავებს თითოეულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას. მასში კორექტივის შეტანა ძნელია. ერთი ადამიანის აზრი, თუნდაც აშკარად პრიორიტეტული, თავისდაუნებურად მომავალში ალტერნატიული აზროვნების განვითარების მუხრუჭად ხომ არ იქცევა? ხვალ, ზეგ ხომ უნდა მართოს ვინმემ ქვეყანა.

— მესმის, სასიამოვნო არ არის ამის აღიარება, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენ დემოკრატიისათვის, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მზად არა ვართ. სხვაც რომ არა იყოს რა, ამისათვის აუცილებელია რეალურ მესაკუთრეთა გავლენიანი ფენის არსებობა, რომელიც საზოგადოებაში დიდწილად ამინდის შემქნელია და რომელიც ჩვენ ჯერ არა გვყავს. არისტოტელეს აქვს ერთგან ამგვარი რამ: როდესაც ადამიანს არ ძალუძს თავად განაგებდეს თავის საკუთრებას, გადატრიალების, ამბოხის საფუძველი სწორედ აქ იქნება. ამიტომ მოგახსენეთ ზემოთ, სტაბილურობის ყველაზე რეალური გარანტი სწორედ ეს არის. ამიტომ, თუკი ჩვენ საბოლოოდ შევაჩერეთ ჩვენი არჩევანი საბაზრო ეკონომიკაზე, მაშინ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი რეალური დამკვიდრებისათვის. მშიერ საზოგადოებას კი აუცილებლად სჭირდება რაღაც გარდამავალი ეტაპი.

იცით, თუ დავაცლით ერთმანეთს, თუ დავანგრევთ გულგრილობისა და ეროვნული გათიშვის კედლებს, ყველაფერი იქნება: სტაბილურობაც, უზრუნველყოფილი ცხოვრებაც, თავისუფალი აზროვნებაც, ჩამოყალიბებული ახალგაზრდა პოლიტიკოსებიც.

ეს ყველამ უნდა შევიგნოთ. რაღაც დათმობით, რაღაც მოთმენით, თანადგომით უნდა გავიტანოთ ერთურთი და ჩვენი ქვეყანა. ეს ხმამაღლა ნათქვამი არ არის, რადგან საქართველოს და თითოეულ ჩვენგანს დღეს ისე არაფერი ჭირდება, როგორც შენდობა, შერიგება, შრომა. თუმცაღა ამ ბოლო დღეებში მოვლენები ურთულესად ვითარდება, — ფაქტობრივად ერთხელ კიდევ დავდექით ძმათამკვლელი შეტაკების აშკარა საფრთხის წინაშე, — ეს ფორმულა, როგორც ერთადერთი გზა ხსნისა, კვლავ ძალაშია.

გალინა ხარებაშვილი.

სურათზე: ირაკლი აბაშიძე და ავთანდილ საყვარელიძე (1990 წ.).

გამოსათხოვარი

ნუგზარ ასათიანი

ორმოცდაათიანი წლების დამდეგს ქართულ ფარიკაობაში მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა საპატიო მისია: გზა გაეკვალა მსოფლიო სარბიელისაკენ. ამ შესანიშნავი თანავარსკვლავედის ლიდერი იყო ნუგზარ ასათიანი.

იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი და პოპულარობა, იმდენად შთამბეჭდავი იყო მისი გამარჯვებები, რომ ნუგზარ ასათიანის სახელი ქართული ფარიკაობის სინონიმად აღიქმებოდა.

მასში ბედნიერად იყო შერწყმული დიდი თანდაყოლილი ნიჭი, არაჩვეულებრივი სიმტკიცე, იშვიათი მიზანსწრაფულობა და სიკეთე. ათეული წლების მანძილზე დაუღალავი მეედლის დარად აწრთობდა იგი თავის ჩემპიონურ ხასიათს.

ნუგზარ ასათიანს იღბლიან ვარსკვლავზე დაბადებული არ ეთქმოდა. ყველაფერი, რასაც სპორტსა და ცხოვრებაში მიაღწია, ტიტანური შრომითა და სიმტკიცით იყო მოპოვებული. კარიერის დასაწყისში იგი თითქოს სხვებზე ძნელად ეუფლებოდა ფარიკაობის საიდუმლოებას, მაგრამ ეს მოჩვენებითი შთაბეჭდილება იყო. უბრალოდ, იგი არაფერს აკეთებდა ზერელედ, სახელდახელოდ, ეფემერული წარმატების მისაღწევად და იაფფასიანი აპლოდისმენტების გამოსაწვევად. მან წარუშლელი კვალი დააჩნია ამ სახეობის განვითარებას. მსოფლიო ფარიკაობის სამყაროში მის სახელს პატივს მიაგებენ ლეგენდარულ კორიფეთა დარად.

შეუძლებელია ნუგზარ ასათიანის დიდი თუ მცირე გამარჯვების ჩამოთვლაც კი. მისი სპორტული კარიერის მწვერვალი იყო ტოკიოს ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონობა.

ნუგზარ ასათიანისათვის ფარიკაობა თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალება იყო. აქ პოვა მან თავისი ყველაზე საიმედო და ერთგული მეგობრები. აქ გამოვლინდა მაქსიმალურად მისი საუკეთესო პიროვნული თვისებები. და თუმცა, ფარიკაობამ მას სიხარულთან ერთად ტკივილიც ბევრი მოუტანა, არასოდეს დაუჩივლია. მისთვის უცხო იყო ამპარტავნობა და ჩემპიონობით სპეკულაცია.

იმპერიის ზეობის ჟამს სპორტი ქართველებისათვის იმ სფეროს წარმოადგენდა, სადაც მათ შეეძლოთ არა მარტო ფიზიკური მონაცემების, არამედ სულიერი და პატრიოტული მისწრაფებების გამოვლენაც. სწორედ ასეთი იყო ფარიკაობისადმი ნუგზარ ასათიანის დამოკიდებულება. უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებებს იგი თვლიდა თავისი სამშობლოს უცხოეთისათვის გაცნობისა და მისი კეთილი სახელის პოპულარიზაციის საშუალებად. და მართლაც, თავის ბრწყინვალე სპორტული კარიერით ნუგზარ ასათიანმა საერთაშორისო სამყაროში საქართველოს მეგობრები და კეთილგანწყობილი ადამიანები უმრავლა.

...იგი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან: ქარმაგი, ჯანღონითა და ოცნებებით აღსავსე, მომავლისაკენ ოპტიმისტურად მზირალი. სწორედ ამგვარი ადამიანები სჭირდება დღეს მის სამშობლოს ყველაზე მეტად.

ვაი, რომ უდროოდ გამოაკლდა ჩინებულ მამულიშვილებს ქართული სპორტის ვარსკვლავი, უბადლო სპორტსმენი და მოქალაქე, საუცხოო მეოჯახე და ერთგული მეგობარი, კაცთმოყვარე და სათნო ადამიანი.

ქართული სპორტის მეისტორიე მუდამ განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ნუგზარ ასათიანს გამოჩენილ მამულიშვილთა პანთეონში და სწორედ ესაა მისი უკვდავება.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

GURIT

ქარხნის შეძენა გსურთ?
- ინებეთ!

ჩვენი დახმარებით ყველა თქვენი პრობლემა გადაიჭრება.
ე/ს „გურიტი" თქვენს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე შემოგთავაზებთ აშშ-ს წარმოების მცირე და საშუალო სიმძლავრის ქარხნებს:
-საკვები პროდუქტების წარმოების;
-სასმელების და თამბაქოს;
-ქსოვილების, ტანსაცმლის, ტყავის;
-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი;
-ქიმიური ნაწარმის;
-პლასტმასისა და რეზინის ნაწარმის;
-სატრანსპორტო აღჭურვილობის...
...და სხვა მრავალს

გადახდა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, შესაძლებელია ბარტერიც.
დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი მისამართით:
გრიშაშვილის ქ. 20. საკონტაქტო ტელეფონები: 72-11-09, 72-26-11

მზად ვართ დაგეხმაროთ!

ე/ს „გურიტი"
სარეკლამო სააგენტო „ბი-ბი-ნო"

ამ ტრიალ ქვეყანაზე

არ ისმის მკერდზე ხელების ბაგუნი

მოსკოვში მე-2 დღეა მუშაობას აგრძელებს რუსეთის სახალხო დეპუტატთა მე-6 ყრილობა. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის თაობაზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ბორის ელცინი. მისი თქმით რეფორმების პროცესი მართალია მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ შედეგები მაინც სახეზე არისო. მთავრობის რეფორმების კურსს დაუპირისპირდა „რუსეთის ერთიანობის" ოპოზიციური ფრაქცია. მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის — ტარასოვის აზრით, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასებმა უკვე 17-ჯერ მოიმატა, წლის ბოლომდე კი მრეწველობა შესაძლოა კიდევ 50 პროცენტით შეიკვეცოს, რაც შემდგომ გაძვირებას გამოიწვევსო. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის თქმით, თუ საჭირო გახდა, რუსეთში არიან ადამიანები, რომლებიც ელცინთან შეთანხმებით შეძლებენ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას. რადიოსადგურ ბი-ბი-სის კომენტარით, ყრილობა ბევრისთვის მოულოდნელად მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობს.

აკაევმა გერმანია პირველად ნახა

ბონში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასკარ აკაევი. ეს აკაევის პირველი მოგზაურობაა გერმანიაში. იგი შეხვდება პრეზიდენტს ფონ ვაიცზეკერს, კანცლერ ჰელმუტ კოლს, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰანს-დიტრიხ გენშერს, აგრეთვე გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. აკაევის ვიზიტის მიზანია პირდაპირ კავშირურთიერთობათა დამყარება გერმანიასა და ყირგიზეთს შორის.

ექვსი არაბი და ერთი მეზობელი

არგენტინის საინფორმაციო სააგენტო ტელამი იუწყება, რომ არგენტინის სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა და ქვეყნის პოლიციას, სასაზღვრო სამსახურებს გადასცა იმ პირთა სია, რომლებზეც ეჭვია მიტანილი, რომ მონაწილეობდნენ ბუენოს-აირესის ისრაელის საელჩოს აფეთქებაში. სიაში შვიდი კაცია. მათგან ექვსი არაბული წარმოშობის პირი და ერთი ბრაზილიელი მოქალაქეა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, აფეთქების შედეგად მთლიანად დაინგრა ისრაელის საელჩოს შენობა. 30 კაცი დაიღუპა, 300-ზე მეტი დაშავდა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ყურადღება!

GURIT

ვისაც
წარმოებასთან
აქვს საქმე!

თქვენ გჭირდებათ სამუშაოსათვის საჭირო დეტალების და კვანძების დამზადება, მაგრამ ამისათვის არც პირობა, არც მასალა გაგაჩნიათ.

ე/ს „გურიტი" იტვირთავს ამ პრობლემას.

დათქმულ ვადებში თქვენთვის საჭირო დეტალებს სწრაფად და ხარისხიანად დაამზადებენ „სნგ"-ს ქარხნებში და, რაც მთავარია, დამამზადებლის მასალით.

ჩვენ მზად ვართ დახმარება
გაგიწიოთ!

საკონტაქტო ტელეფონები:
72-11-09, 72-26-11

ე/ს „გურიტი"
სარეკლამო სააგენტო „ბი-ბი-ნო"

წერილი კომენტარით

ასეთ მომსახურებას სულ არმომსახურება სჯობია

ამ დღეებში რედაქციაში ეს წერილი შემოვიდა:

„ამ წლის 7 მარტს თურქეთში გავემგზავრე ავტობუსით. ამგვარი მგზავრობის ორგანიზაციას დღეს ქალაქში სხვადასხვა კოოპერატივი ახდენს. მე არჩევანი, ჩემდა სავალალოდ, მრავალდარგოვან მცირე საწარმოო [illegible] „გრაალზე" შევაჩერე. რა იყო და რით გამოიხატებოდა კოოპერატივის ფუნქციები, ვერ დამიდგენია. საქმე ის არის, რომ „იკარუსის" მარკის ავტობუსი, რომლითაც მოსახლეობა თურქეთში გადაჰყავთ, არის მძღოლის საკუთრება, კოოპერატივი კი მგზავრობაში გახდევინებს 1000 მანეთს და 20 დოლარს აბსოლუტურად არაფერში, რადგან არანაირ მომსახურებას თავის თავზე არ იღებს. ასე განსაჯეთ, ინგლისურად დაბეჭდილი მგზავრთა სიაც კი არ შეუდგენიათ, რომ ამის გამო თურქ მებაჟეებს თითო დოლარით არ დავეჯარიმებინეთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოოპერატივის მუშაკებიც და ავტომანქანების მძღოლებიც, რომლებიც მთელი გზა უწმაწურად აგინებდნენ მგზავრებს და გვემუქრებოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გასაყვლეფად არიან გამეცადინებულები. ამას ადასტურებს ის მწარე ფაქტი, რომ უკანა გზაზე, სარფიდან გამოსვლის შემდეგ ღამე [illegible] საეჭვო სიტუაციაში, როდესაც მთელ სალონს განსაკუთრებულად ღრმა ძილით ეძინა, დაიკარგა ექვსი ჩანთა, პასუხისმგებელი, რასაკვირველია, არავინ იყო.

უმორჩილესად გთხოვთ ჩაერიოთ და გაარკვიოთ „გრაალის" და მისი მსგავსი კოოპერატივების საქმიანობის სპეციფიკა. ასეთ მომსახურებას სულ არმომსახურება სჯობია.

მგზავრთა სახელით —
იზოლდა ქანაშვილი.

რედაქციის მინაწერი:

წერილში დასმული საკითხი ყურადღებას უდავოდ იმსახურებს. ამასთან თურქეთში ჩვენი მოქალაქეების ასე მასობრივი მოგზაურობა სხვა არაერთ მნიშვნელოვან პრობლემასთან არის დაკავშირებული. თუნდაც სარფის საბაჟო. კი, ამჟამად იგი დროებით დაკეტილია, მაგრამ ვის აქვს გარანტია, რომ მისი კვლავ ამოქმედების შემდეგ იქ ყველაფერი აეწყობა.

რა ხდება სარფის საბაჟოში, ზოგს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, ზოგმა გადმოცემით იცის. ერთსა და იმავე წესს საბაჟოს მუშაკები თურქეთში [illegible] თავისი შეხედულებისამებრ უსადაგებენ, იმისდა მიხედვით, თუ ვისგან როგორ დაიფასებენ თავს. წერილის ავტორმა გვითხრა, რომ მის ჯგუფს 51 ათასი მანეთი (თითოეულზე — 1.500 მანეთი) დაუჯდათ ეს „დავალება".

დაუმატეთ ამას მგზავრთა დამცირების, შეურაცხყოფის, ახუჩად აგდების ის ამაზრზენი ატმოსფერო, რომელიც აქ არის დამკვიდრებული. მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი, რასაკვირველია, მებაჟეა, და მწევარი ძაღლის ყეფით კურდღელივით დამფრთხალი, აცახცახებული მგზავრი თვალებში შეჰყურებს მას, როგორც უფალს, რომ იმან უცებ რაიმე გუნება არ ეცვალოს და ჯავრი მგზავრზე არ იყაროს, იქამდე სიმწრით ჩასული უკან არ გამოაბრუნოს. ჩაღწევა კი მართლაც დიდი სიმწარეა, რადგან თბილისიდან ბათუმამდე სახელმწიფო ავტოინსპექციის ყველა საგუშაგოსთან გაჩერებენ და „ხაბაურს" გახდევინებენ.

ჩვენ არ ვაპირებთ მგლის თავზე სახარების კითხვას, არც პოტენციური ტურისტების შეგონებას — ნუ ენდობით კოოპერატივებს, მაშინ, როდესაც არის სახელმწიფო დაწესებულება — სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, არც საბაჟოს მუშაობის წესების შეცვლას ვკისრულობთ. ჩვენ საჯარო ექსპერიმენტის მოწყობა გვინდა მხოლოდ, პატივცემულო მკითხველებო, თქვენთან ერთად: აი, გამოვაქვეყნეთ წერილი და ვნახოთ ვინ და როგორ გამოგვეხმაურება, დაგვიდებენ თუ არა ჩვენ და თქვენ პატივს, გვიპასუხებენ თუ არა კოოპერატივ „გრაალის" მესვეურები, რესპუბლიკის ავტოინსპექციისა და საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელები.

ექსპერიმენტი ძალაში შედის გაზეთის გამოსვლისთანავე.

ირაკლი წერეთელი:

კონსტიტუციის ამოქმედებისათვის დეკლარაციის მიღება არ კმარა...

საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება დღითიდღე მშვიდი და სტაბილური ხდება. სტაბილიზაციისაკენ მიდის პოლიტიკური პროცესებიც, რაც საბოლოოდ სერიოზული პოზიტიური შედეგების იმედს იძლევა. შესაბამისად, გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალების საქმიანობაშიც. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს ირაკლი წერეთელს:

— თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული პატრიოტული ძალების ერთობლივი ძალისხმევით საქართველოში განხორციელდა ისტორიული მნიშვნელობის აქტი — აღდგა 1921 წლის კონსტიტუცია. შეიძლება ითქვას, რომ აღსრულდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანთა მიზანი. თქვენ როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობისა და ამოქმედების შესახებ, რის საფუძველზეც ოფიციალურმა ხელისუფლებამ აღადგინა 1921 წელს საბჭოთა შეიარაღებული აგრესიის შედეგად შეჩერებული ქართული სახელმწიფოებრიობა. მაგრამ კონსტიტუციის სრულყოფილი ამოქმედებისათვის მხოლოდ დეკლარაციის მიღება არ კმარა. აუცილებელია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომელთა ძალითაც ძირითადი კანონი რეალურად ამოქმედდება. ამ დეკლარაციის მიღების შემდეგ არც სამხედრო საბჭოს და არც სახელმწიფო საბჭოს მსგავსი საკანონმდებლო აქტები არ მიუღია და კონკრეტული ღონისძიებები არ განუხორციელებია კონსტიტუციის რეალურად ამოქმედებისათვის.

— საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილი, — გასაგებია რომელი, — ფიქრობს, რომ საქართველოს სამხედრო საბჭო და შემდგომ სახელმწიფო საბჭოც ხელისუფლების არაკანონიერი ორგანოებია, რას იტყოდით ამის პასუხად?

— არც სამხედრო საბჭო და არც სახელმწიფო საბჭო არ არის კონსტიტუციური ორგანო, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების ასეთ ინსტიტუტებს არ ითვალისწინებს. მაგრამ სამხედრო საბჭო რევოლუციური ხელისუფლებაა, რომელმაც დაამხო კონსტიტუციის თვალსაზრისით არაკანონიერი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, და მით უმეტეს საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედების შესახებ დეკლარაციის მიღების შემდეგ, იგი სავსებით უფლებამოსილი იყო ემართა ქვეყანა რევოლუციურ სიტუაციაში, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს — პარლამენტის არჩევამდე. რაც შეეხება სახელმწიფო საბჭოს, მისი შექმნა, როგორც საპარლამენტო არჩევნებამდე მიღებული დროებითი ღონისძიება, გამართლებული იქნება, თუ იგი ქვეყნის მართვას უკეთესად გაართმევს თავს, ვიდრე სამხედრო საბჭო.

— მაგრამ უკვე ახლა სახელმწიფო საბჭო იმედის მომცემ და პროგრესულ ნაბიჯად მოჩანს.

— რა თქმა უნდა, ბრმა უნდა იყო, რომ სასიკეთო ცვლილებები ვერ დაინახო, მაგრამ, მაინც, ყველაფერს მომავალი აჩვენებს, თანაც ძალიან მალე. წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც თვითონ სახელწოდება „სამხედრო საბჭო" ძალზე გამაღიზიანებლად ჟღერდა მშვიდობასა და სტაბილიზაციას მოწყურებულ საზოგადოებაში.

— წლეულს პირველად კანონიერი კონსტიტუციის პირობებში ქართველმა ხალხმა უნდა აირჩიოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — პარლამენტი. აპირებს თუ არა ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, რომლის ლიდერიც თქვენ ბრძანდებით?

— ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, თუ ეს არჩევნები გაიმართება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებისა და დებულებების ზუსტი დაცვით. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღდგეს საქართველოს მოქალაქეობა. ამასთან, არჩევნები უნდა გაიმართოს პროპორციული სისტემით პარტიული სიების მიხედვით, და მხოლოდ და მხოლოდ შემოდგომაზე. თუ პარლამენტის არჩევნებისას უგულებელყოფილი იქნება ეს პრინციპები, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ხელს შეუშლის მის გამართვას, ვინაიდან ასეთი არჩევნები არაკანონიერი იქნება.

მაია ალუდაური.

ამ დღეებში

გვერდს „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

თეატრი



რანი ვიყავით, რა შეგვძლებია

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი ხუთი წლის წინათ დაიბადა სპექტაკლით — „რაც მტრობას დაუქცევია“ და ძველ თბილისში, „სარიონში“ დაიდო ბინა. მისი სულისჩამდგმელი იყო ბატონი კოტე მახარაძე. იქვე მოისწრო მეორე სპექტაკლის „ამღერდი ჭნარო“ წარმოდგენა. აგერ უკვე მესამე წელიწადია მაყურებლისთვის ასერიგად საინტერესო სახილველი უბინაოდ არის დარჩენილი, შარშან თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ქალბატონი ეთერ გუგუშვილი მხარში ამოუდგა თეატრს — შესთავაზა ინსტიტუტის სასწავლო თეატრის სცენაზე ემუშავა.

და აი, ამ დღეებში „ბაგრატიონების“ პრემიერაზე მიგვიწვია ერთი მსახიობის თეატრმა. მთხრობელი ისევ ბატონი კოტე მახარაძეა. „ბაგრატიონებს“ საფუძვლად ლევან სანიკიძის ტექსტი უძევს. მსახიობი ორსაათნახევრის მანძილზე დგას სცენაზე და გრძელი მონოლოგით აღგვიდგენს ჩვენს ისტორიას. ილიას თქმით კი — „აღდგენა ისტორიის —ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“.

დიდი დრამატული ძალით, ღრმა ემოციურობით წარმოთქვამს მსახიობი მონოლოგს, რომელიც მაყურებლის სულსა და გულს უფორიაქებს, თანაზიარს ხდის ბაგრატიონთა გვარის ათასწლოვანი ზეობისა; 810 წლიდან 1810 წლამდე, აშოტ კურაპალატიდან — სოლომონ II-მდე.

[illegible] მოუბარი „წყლიანი“ მსახიობის მონათხრობი ეყრდნობა ეპიზოდების შინაგან დრამატურგიას, გრძნობებისა და ზრახვების მრავალფეროვნებას, მათ მონაცვლეობას. კოლოსალური მასალიდან კოტე მახარაძე თხრობისთვის მხოლოდ იმ ეპიზოდებს ირჩევს, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს ეროვნულ ბუნებას, ჩვენს ზნე-ხასიათს.

— ბოლოს და ბოლოს, ამა თუ იმ მეფის ისტორიას მისივე მემატიანე წერს და იგი აღმატებულ ხარისხშია ყოველთვის, მე მიზნად დავისახე, რომ თხრობა არ ყოფილიყო ოდენ ქება და შესხმა, ჩემი ამოცანა იყო არაფერი დამეკარგა მათთვის, მაგრამ მეთქვა ისიც, რომ ისინი თვალებსაც თხრიდნენ, თავებსაც კვეთდნენ და ცხენის ძუითაც ათრევდნენ, — ბრძანა ჩვენთან საუბრისას ბატონმა კოტე მახარაძემ.

ორსაათ-ნახევარი სამარისებური სიჩუმეა, მაყურებელი გარინდული ისმენს მსახიობის მონაყოლს, რომელიც გვარწმუნებს, თუ როგორ შეიძლება იქცეს ისტორია დიდი მასშტაბის პოეზიად. მსმენელი მონუსხულია ეროვნული ისტორიის, მწერლობისა და ფილოსოფიის გასაოცარი სიმფონიით, კოტე მახარაძის მონოლოგი „ბაგრატიონები“ რომ ამკვიდრებს.

პრემიერის შემდეგ აზრს გვიზიარებენ ბატონი **ვახტანგ ბერიძე**, ქალბატონი **ნანი ბრეგვაძე** და ბატონი **ნოდარ გურაბანიძე**.

ვახტანგ ბერიძე: ჩემი აზრით, კოტე მახარაძის კომპოზიცია ბაგრატიონების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით — დღევანდელ დღეს. იმიტომ, რომ ძალიან დამაფიქრებელია, და ჩვენთვის სწორედ დღეს, ასეთ რთულ ვითარებაში, არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ზნეობრივად და ფსიქოლოგიურად სწორედ დაფიქრება გვმართებს, გვმართებს წარსულის გაკვეთილების გახსენება. იმიტომ, რომ ჩვენი სიკეთეც გავიხსენოთ და ნაკლიც, და ეს ყველაფერი რეალურად შევაფასოთ. კოტე მახარაძის ეს სპექტაკლი სწორედ ამის საშუალებას იძლევა. იმიტომ, რომ ძალიან სერიოზული და მეცნიერულად გამართული ტექსტია, და ამას გარდა მსახიობი ძალიან ბუნებრივად წარმართავს. ეს არის გულითადი საუბარივით მონათხრობი, რომელიც ადამიანს, მსმენელს ფიქრისთვის, განსჯისათვის განაწყობს. მე ვისურვებდი რაც შეიძლება ბევრმა ნახოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ ეს სპექტაკლი, რომ კიდევ ერთხელ გაითვალისწინოს რანი ვიყავით, რა შეგვძლებია. ამ სპექტაკლს, რა თქმა უნდა, დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

ნანი ბრეგვაძე: დიდი ზემოქმედების ძალით გამოირჩევა „ბაგრატიონები“ — კოტე მახარაძის ახალი ნამუშევარი. გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, იმდენად მრავლისმომცველი და ღრმაა. ის, რასაც მსახიობი ორსაათ-ნახევარში გვთავაზობს, უმალ თეატრალური რიტუალია,. რაც შეიძლება ბევრი ქართველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა უნდა ეზიაროს ამ რიტუალს. იგი აღამაღლებს თანამედროვეთა გონებასა და ზნეობას. შეუძლებელს ძლევს კოტე მახარაძე თავისი თხრობით, — როგორ გინდა, ასე მცირე დროში ჩაატიო ბაგრატიონთა გვარის ისტორია, ის კი, რაღაც საკრალური ძალით, ამას ახერხებს.

ნოდარ გურაბანიძე: პირადად მე მოუთმენლად მოველოდი ერთი მსახიობის თეატრის ახალ წარმოდგენას. არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენს გატანჯულ დროში თეატრალური პრემიერა სანატრელი გაგვიხდა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ კოტე მახარაძის წინა ორმა სპექტაკლმა სრულიად განსხვავებული ფერები შემატა ქართულ თეატრალურ პალიტრას და იძულებითი, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ძალზე საინტერესო იყო, თუ რა სახეს მიიღებდა ახალი სპექტაკლი.

ახლა შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ, რომ უკვე ნათლად გამოიკვეთა ამ თეატრის ესთეტიკა. თუმცა სცენაზე ერთი მსახიობი დგას და თეატრალური აქსესუარი უაღრესად შეზღუდულია, ჩვენ ვხედავთ, რომ გამომსახველი ხერხების მრავალფეროვნების წყალობით კოტე მახარაძე პოლიფონიურ ნაწარმოებს ქმნის.

კოტე მახარაძე ძალზე ზუსტად გრძნობს, თუ როდის უნდა შეცვალოს ჩვეულებრივი თხრობა პათეტიკით, ინტიმურად განდობილი საუბარი — დეკლამაციით, ძუნწი, მოზომილი მოქმედება აქცენტირებული ჟესტით, იცის ამ ასკეტურად დახვეწილ სურათში როდის მოუხმოს „დამხმარე“ თეატრალურ ეფექტებს (აქაც ჩვეულებრივ თავშეკავებას იჩენს). მისი მოძრაობისა და თხრობის რიტმი ჰარმონიულია. მისი თავისუფალი მოქმედება თითქოს არ ემორჩილება რეჟისურას, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ყოველი მისი მოძრაობა ზუსტად არის გათვლილი, ყოველი გადაადგილება, შეყოვნება თხრობის ინტონაციითა და დაძაბულობითაა განპირობებული. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის „შინაგანი რეჟისურა“, როცა მსახიობი თვითონაა თავისი თავის რეჟისორი, თვით აკონტროლებს საკუთარ მოძრაობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი გამუდმებით მაყურებელთან კონტაქტშია და გრძნობს მის განწყობილებას, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არც იმპროვიზაციებია მისთვის უცხო.

აი, ეს ფიქრები აღმიძრა მისმა ახალმა ნამუშევარმა, რომელიც ფრიად საგულისხმო მოვლენაა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში და საგანგებო ანალიზს საჭიროებს.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: კოტე მახარაძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

გაქართულებული ენციკლოპედია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის შემსწავლელმა ლაბორატორიამ დაასრულა მუშაობა „ბიბლიურ ენციკლოპედიაზე“, რომელიც თითქმის 100 თაბახს შეიცავს. მეცნიერმა თანამშრომლებმა ფაქტობრივად გააქართულეს ეს ენციკლოპედია, რისთვისაც გამოიყენეს ქართული ბიბლიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა და ქართული ქრისტოლოგიური და ლექსიკოლოგიური ლიტერატურა. წლეულს გამოვა ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელის, პროფესორ რევაზ სირაძის წიგნი „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“.

სადაც გინდა, იქ ილოცე

ქალაქ ბათუმის სომეხი და ებრაელი საზოგადოებრიობის აქტივისტები მრავალი წელია უშედეგოდ შუამდგომლობდნენ აჭარის სხვადასხვა ხელმძღვანელობის წინაშე სომხური სამოციქულო ეკლესიისა და სინაგოგის მათთვის დაბრუნების შესახებ და მხოლოდ ახლა დაკმაყოფილდა მათი შუამდგომლობა. საკითხი დადებითად გადაიჭრა.

გაძვირდა და გაქრა

კურორტ „ბორჯომის“ ისედაც საგრძნობლად გაძვირებული საგზურის მფლობელს მგზავრობის პრობლემაც არანაკლებ აწუხებს. ახლა თბილისამდე „იკარუს“-ექსპრესით მგზავრობისათვის მას 28 მანეთის, სოხუმამდე — 49 მანეთის, ბათუმამდე — 40 მანეთის, ქუთაისამდე — 19 მანეთის, გორამდე — 12 მანეთის გადახდა უხდება. მაგრამ, ფასების გაზრდამ მგზავრთა მომსახურება ვერ გააუმჯობესა. პირიქით, ავტობუსი სანთლით საძებნელი გახდა.

კატაკლიზმები გამორიცხულია

კოლხეთის ჰავა ალბათ ასწლეულების შემდეგაც არ განიცდის დიდ ცვლილებებს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი კლიმატოლოგები. დედამიწაზე, ამტკიცებენ სპეციალისტები, უახლოეს ასწლეულებში კვლავ შეიძლება დადგეს ჩვენი პლანეტის ისტორიაში მორიგი აცივების ეპოქა — ეგრეთ წოდებული მცირე ყინულოვანი, ხოლო უფრო შორეულ დროში — დაახლოებით 2-3 გრადუსით ჰაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის შეცვლის ხანა. მაგრამ ასეთი კატაკლიზმებიც კი მნიშვნელოვნად ვერ მოახდენს გავლენას კოლხეთის კლიმატზე, რასაც ადასტურებს ამ მხარის უძველესი ისტორიაც.

უკანასკნელ გზაზე

ცხოვრების მკაცრმა რეალობამ ადამიანის უკანასკნელ უფლებას — სასაფლაოზე დასაფლავდეს საფრთხე შეუქმნა. თბილისის მარტოხელა მცხოვრებმა ე. ნ.-მ. სიკვდილის წინ უკანასკნელი თხოვნა — შეგროვებულ ათას მანეთთან და ორ ხატთან ერთად გადასცა სრულიად საქართველოს ჰუმანიტარულ ასოციაცია „კათარზისს“ და ასოციაციამ შეასრულა მისი თხოვნა — დაკრძალა იგი ქრისტიანულად, მოიწვია მღვდელი და გადაუხადა პანაშვიდი.

ნოდარ ახალკაცი: ბევრი სიახლე გველის

პარასკევს, 10 აპრილს, თბილისის ჟურნალისტის სახლში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ახალკაცი გამართავს პრესკონფერენციას.

დასაწყისი 12 საათზე.

ერეკლეს მოედანი № 8. თბილისის ჟურნალისტის სახლი.

საბერძნეთში, ქ. ოლიმპიის ერთ-ერთ მოედანზე დაიდგმება ქართველი მოქანდაკის — გიორგი შხვაცაბაიას ნამუშევარი — „მშვიდობის ჩირალდანი“.

ოლიმპია ელის „მშვიდობის ჩირალდანს“

ეს წინადადება ქალაქის მერმა ოლიმპიას მუნიციპალური საბჭოს წინაშე დააყენა და თანხმობაც მიიღო; იდეა კი გიორგი შხვაცაბაიას საბერძნეთში მოგზაურობის დროს გაუჩნდა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გიორგი შხვაცაბაია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით, შეუდგა ჩანაფიქრზე მუშაობას. მოხდა ისე, რომ თბილისში ჩამოსულმა საბერძნეთის მხარის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოქანდაკის სახელოსნოში ნახეს ქანდაკების მოდელი, გამოთქვეს მისი დადგმის სურვილი თავიანთი ქალაქის ცენტრალურ უბანში.

ამ სურვილს, საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომაც მისცა დასტური, ამას მოჰყვა ის გადაწყვეტილება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ამ დღეებში ქანდაკება გზას ოლიმპიისაკენ აიღებს. მოქანდაკის, საბერძნეთის სამთავრობო არქეოლოგიური კომისიისა და მუნიციპალური საბჭოს მიერ წინასწარ შერჩეულ მოედანზე, რომელიც ქალაქის ძველ ისტორიულ ნაწილს უკავშირებს ახალ დასახლებას ცნობილი ბერძენი არქიტექტორის იოანის ხეფერლის მიერ პენტელის მარმარილოს კვარცხლბეკზე აღიმართება ოთხმეტრიანი „მშვიდობის ჩირალდანი“. საინტერესოა, რომ ბერძნული გაზეთი „პინონი“ („დილა“) წერდა ამის გამო — „2000 წლის შემდეგ ეს იქნება პირველი ხელოვნების ნიმუში შექმნილი დიდი ხელოვანის მიერ, რომელიც ოლიმპიაში ძველ ბერძენთა უკვდავ ქმნილებებთან ერთად საუკუნეებს გაუძლებს“.

„მშვიდობის ჩირალდანი“ გიორგი შხვაცაბაიას შემოქმედების გვირგვინია, სტატიკისა და დინამიკის კონტრაპუნქტზე წარმოსახული ფრთოსანი ქალის სილუეტი იკითხება, როგორც ოლიმპიური ჩირალდანი, რომლის ზეატყორცნილი ფრთები ცეცხლის ენებივით შლევს სივრცეს. ქალღმერთი, გამარჯვებისკენ მოუხმობს კაცობრიობას.

გიორგი შხვაცაბაიას ქანდაკების „მშვიდობის ჩირალდანის“ საზეიმო გახსნის ცერემონიალი ოლიმპიაში გზას დაულოცავს საბერძნეთისა და საქართველოს მომავალ ურთიერთობებს.

ირინე აბესაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

თბილისური მოტივები

სანდრო მამასახლისის ფოტო.

რეკლამა რეკლამა რეკლამა

ასოციაცია „აგროვნეშნაუკას“ საქართველოს ფილიალი და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლა

აცხადებს მსმენელთა მიღებას ფერმერული მეურნეობის შემსწავლელ სკოლაში შოტლანდიის სასოფლო სამეურნეო კოლეჯში შემდგომი სტაჟირებით. სასწავლებლად მიიღებიან 35 წლამდე ასაკის საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო ან გადამამუშავებელ წარმოებაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ადგილზე სწავლება — 3 თვე, სტაჟირება შოტლანდიაში — 2 თვე. მსმენელები ადგილზე მიიღებენ სტიპენდიას 250 მანეთის ოდენობით. სტაჟირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს კისრულობს საზღვარგარეთის მხარე.

გარდა ამისა, სტაჟორს თვეში მიეცემა 200 დოლარი.

სწავლების საორიენტაციო ფასია 40 ათასი მანეთი რომელშიც შედის სწავლებასთან და მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. გადასახდელი მიიღება როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე სპონსორი ორგანიზაციის მიერ გადარიცხვით.

განცხადებები მიიღება 15 აპრილამდე.

ჩვენი მისამართია: 380031, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ასოციაცია „აგროვნეშნაუკას“ საქართველოს ფილიალი.

ტელეფონი: 51-95-90, 51-95-41.

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მრავალდარგოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომერციული ფირმა „მზეჭაბუკი“

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. **ეკოლოგ-კონტროლიორი, ეკოლოგ-ლაბორანტი.** აქ შეისწავლება: ა) ზოგადი ეკოლოგია, ბ) გამაჯანსაღებელი მეურნეობის კონტროლის საკითხები; გ) ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა; დ) სასურსათო პროდუქტების ეკოლოგ-კონტროლის საკითხები; ე) მინერალური და მტკნარი წყლების ანალიზი.
2. **საბუღალტრო აღრიცხვა — კომერციული სტრუქტურებისათვის;**
 ა) საბუღალტრო აღრიცხვის ზოგადი კურსი;
 ბ) საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკა;
 გ) კომერციული სტრუქტურების ბუღალტერია;
 დ) დასავლეთ ევროპის კომერციული სტრუქტურების საბუღალტრო აღრიცხვა (თეორია, პრაქტიკა).
3. **კოსმეტოლოგია:**
 ა) პლასტიკური ქირურგია და სილამაზე;
 ბ) მაკიაჟი;
 გ) ლაბორატორიული სამუშაოები;
 დ) ზოგადი ბიოლოგია.

კურსები, რომელიც სამეურნეო ანგარიშზეა, მოეწყობა 1992 წლის 20 აპრილიდან. სწავლის ქირის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ისევე გადარიცხვით.

მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ განათლების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, პასპორტი და 2 ფოტოსურათი 3X4.

საბუთებისა და თქვენთვის საინტერესო ცნობების მიღება შეგიძლიათ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. № 3, II სართული (61-ე საშუალო სკოლის შენობა) „საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“, 10 საათიდან 15 საათამდე, ტელ.: 36-16-30. მსმენელებს მიეცემათ შესაბამისი დიპლომები.

რექტორატი.

ყველას, ვისაც გაქვთ
ობლიგაციები,
სერტიფიკატები,
ჩეკები და თანხა
შემნახველ სალაროებში!

„საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ აქციების შეძენა შეგიძლიათ უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის პირდაპირი გადმორიცხვით ჩვენს ანგარიშზე. დასავლეთის ბიზნესმენები უკვე გაბედულად იწყებენ საქმეს საქართველოში. ჩვენი მეშვეობით შეგიძლიათ გახდეთ მათი თანასწორუფლებიანი პარტნიორი. აქციონერთა თანხებს ჩვენ დავაბანდებთ ერთობლივ პერსპექტიულ პროექტებში.

აქციების ღირებულება: 3 000, 5 000, 10 000 და 50 000 მანეთი.

ჩვენი რეკვიზიტებია: ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“, კომერციული ბანკი „დრო“, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, ა/ნ 700161924, კოდი: 521006.

ჩვენი მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24, მე-6-ე სართული (მეტროპოლიტენის სადგური „მარჯანიშვილი“). 10-დან 16სთ-მდე შაბათკვირის გარდა.

ტელ: 95 30 24, 95 37 41.

სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

„კავკასიის ბირჟის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოების „კავკასიის ბირჟის“ აქციების გაცემა იწარმოებს მხოლოდ ხუთშაბათობით დილის 10 საათიდან 18 საათამდე. აქციები გაიცემა 31 მაისის ჩათვლით.

გთხოვთ მობრძანდეთ!

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას პრ. № 72. ტელეფონი: 30-47-26, 30-47-14.

ვყიდი კაპიტალურად შეკეთებულ „ვაზ“-21-07“ მარკის ავტომანქანას გამოშვებულს 1990-1991 წელს.

ტელეფონები: თბილისში 62-82-28, გორში — 2-63-95.

იკითხეთ კახა ან ვასიკო.

განცხადება

იმის გამო, რომ ტრესტი „საქხასომხეთმშენი“ წყვეტს თავის მუშაობას სასომხეთის რესპუბლიკის ქ. ტაშირში (ყოფილი კალინინო) უქმდება მისი ანგარიში № 281402, ქ. ტაშირის აგრომრეწვბანკში.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადებისა დაარეგულირონ თავისი ურთიერთობა ტრესტ „საქხასომხეთმშენთან“. აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

ტრესტ „საქხასომხეთმშენის“ ადმინისტრაცია.

კარატეს მოყვარულთათვის

საერთაშორისო კიოკუშინ-კარატეს ორგანიზაციის, მისი საქართველოს ფილიალის ახალი წესდებებისა და სკო-ს ხელმძღვანელის ბ-ნ ოიამას განკარგულების თანახმად, კიოკუშინ-კარატეს სტილის მოვარჯიშენი, ჯგუფები და კლუბები სასწრაფოდ უნდა გატარდნენ რეგისტრაციაში და გაწევრიანდნენ სკო-ში, მისი ფილიალის მეშვეობით.

პირები, რომლებიც არ დაემორჩილებიან ამ განკარგულებას, დაისჯებიან სკო-ში მიღებული წესით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 74-ა, 26 მაისის სახელობის სტადიონი, საქართველოს კიოკუშინ-კარატეს ორგანიზაცია, ტელ.: 23-50-40.

საერთაშორისო კიოკუშინ-კარატეს ორგანიზაციის საქ. ფილიალი.

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ასპარეზზე გამოვიდა მშრომელთა სოციალისტური პარტია

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია.

პარტიის რეგისტრაციას წინ უძღოდა დიდი შრომატევადი მოსამზადებელი მუშაობა. დამფუძნებელმა ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბიურო, ცენტრალური სარევიზიო კომისია და სამდივნო.

— ცნობილია, რომ დღეს საქართველო უმძიმეს ეკონომიკურ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მშრომელები აღმოჩნდნენ, ისინი, ვისი ფიზიკური და გონებრივი გარჯის შედეგად იქმნება საქართველოს როგორც მატერიალური, ასევე სულიერ-კულტურული განძი, მაგრამ, სამწუხაროდ, მშრომელი ადამიანი დაუცველი დარჩა სოციალურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამართლებრივად. ამიტომ, საქართველოში ახალი პარტიის შექმნა მის დამაარსებელთა თვითმიზანი კი არა, ცხოვრების მიერ ნაკარნახევი აუცილებლობაა, — ამბობს საქართველოს **მშრომელთა სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი ივანე ჩიქლაური.**— ჩვენი მიზანია საერთო ძალისხმევის შედეგად შევქმნათ ნამდვილად დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, გამოვიჩინოთ ინიციატივა და ვდგეთ იქ, სადაც ამჟამად საქართველოს, მის მშრომელებს ვჭირდებით. ამ დღეებში მთელ რესპუბლიკაში მშრომელთა სოციალისტური პარტიის წევრთა რაიონული და საქალაქო კრებები მიმდინარეობს, რომელიც, აუცილებლად, ერის მაკონსოლიდირებელ შეკრებებად გადაიქცევა.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის პრესცენტრი.

გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი მიმდინარე წლის 28 აპრილს აწყობს ტრადიციულ „გულმოწყალების კვირეულს“, რომელიც ჩვენ დიდ დღესასწაულს — აღდგომას ემთხვევა. აქციის მიზანია: დახმარება და შეწევნა აღმოვუჩინოთ უკიდურესად გაჭირვებაში ჩავარდნილთ, ავადმყოფებსა და ღრმად მოხუცებს, მარტოხელებსა და რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების დროს დაზარალებულ ოჯახებს.

აღდგომის კვირეულში ყველანი უფრო გულმოწყალენი და მიმტევებელნი უნდა ვიყოთ, ერთმანეთს გავუნაწილოთ გულის სითბო და დავივიწყოთ შური, მტრობა, რასაც კაცისკვლა და სისხლისღვრა მოსდევს. დროა ვიფიქროთ მშვიდ ცხოვრებაზე, ადამიანებს ნორმალური შრომისა და დასვენების პირობები რომ შევქმნას. თუ ეს არ მოხდა, დღევანდელი თაობა ვერ მიხედავს მოხუცებს, დავრდომილებს, რომლებიც მათგან ელიან შემწეობას.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს, კვირეულის დღეებში, რომელიც 30 აპრილამდე გასტანს, დიდი და მრავალმხრივი გეგმები აქვს დასახული გაჭირვებულთა დასახმარებლად. ამ გეგმების განხორციელებაში კი დიდი წვლილის შეტანა შეგიძლიათ თქვენ, ჩვენო კეთილო და ქველმოქმედო თანამემამულენო!

შეგახსენებთ ფონდის ანგარიშს: 000704402, სააქციო-კომერციული ბანკის მთავარი საოპერაციო სამმართველო.

ნინო მამალაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგბაშვილი.

[illegible], თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; მდივნის [illegible] 99-73-24. [illegible] ქ. № 29. ინდექსი 64434.